If we agree that agriculture and its water management technologies were quite developed on the territory of Georgia since ancient times, it becomes obvious why the large-scale hydraulic projects of the early civilizations are found only in the Hellenistic world and the Roman Empire of the later period. Perhaps due to the abundance of water and the large number of rivers in Georgia, there was no necessity for such technologies. Consequently, despite various social formations, the issue of managing water resources with an iron fist and the crisis of the metabolism of water resources did not arrive historically.

In the era of political decentralization and weakening of Georgia, the use of rivers and water was most likely not strictly centralized, again due to the abundance of water resources and the crisis of political authorities. In the first half of the 19th and 20th centuries, the water supply system in the capital of Georgia gradually replaced the water carriers ("metulukche"-s), and in 1861, a centralized steam engine of small-capacity was created; it served 62 houses in total. In 1866, the Avchala water pipeline opened and in 1951 - the Tbilisi Sea Reservoir. Therefore, in the first half of the 20th century, Tbilisi was fully supplied with drinking water. The old tradition of floating river mills, which is mentioned in the written sources of the 8th-century Arab traveller Ibn Hawqal, was sacrificed to the embankment of the river Mtkvari. Due to the establishment of the communist system on the territory of the former Russian Empire, the commodification of water resources did not happen. After the collapse of the Soviet Union, large irrigation systems were looted and came out of order, and the use of water for irrigation became uncontrolled. During the Soviet times, energy systems and infrastructure in the South Caucasus were planned with a regional approach under the centralized Soviet energy system, where Georgia occupied the niche of hydropower resource provider in relation to the energy niches of atomic energy of Armenia and fossil fuel in case of Azerbaijan. In the second half of the 20th century, large-scale hydroelectric power station construction projects were built: hydropower plants (HPPs) of Enguri, Zhinvali, Lajanuri etc. The fall of the Soviet Union eventually paved the way for global capitalism to access the world's resources, and the restoration of Georgia's independence can be put into the context of this process. In contemporary

times, climatic changes and human activities drastically impact the rivers, changing them significantly and causing water crises. Although the process of studying the rivers has been carried out in a multidisciplinary, comprehensive and high-tech fashion, the conditions of the rivers are still getting worse.

Against this background, the politics of maximum utilization of hydro resources was announced in Georgia in 2003. However, until now, it has not been possible to develop an effective energy system, to fully grasp its regional importance inherited after the fall of the Soviet Union. The system remains non-transparent, non-competitive and non-democratic. To quote Istvan Meszaros,¹² the state plays a role of a "second-order mediator" as a guarantee for the capital in destabilization and disengagement of nature metabolism by human labour. The rapid commodification of water as a natural resource is expanded, and the process of its utilization by humans turns into a crisis of the metabolising nature. This is happening in the age of climate change and water crisis; while the global hydrological cycle is shifting, glaciers are melting, and desertification and water availability are major challenges for the world. Societies cannot rely solely on science and technology. Despite the significant progress, visions based on the concept of capital do not recognize the autonomy of natural objects and, therefore, cannot acknowledge important technical characteristics of nature. In the periphery of the metropolis, these constructions are as fragile as the relationship between capital and nature itself. Clear examples of this phenomenon are about ten newly constructed and damaged HPPs in Georgia. Thus, in the light of the local historical nature of human connections with water, there is a need for political activation of science, technology and collective rights to natural resources in the direction of democratization, which will move the state from the rails of the capitalist logic and force it to consider the interests of all social groups. Here, through the freedom achieved by perceiving nature's autonomy and objective technical characteristics, our kind will generate the real mechanisms of multifaceted cultural adaptation, and the crisis of nature's metabolism may be alleviated. Within this tension, society may discover alternative ways of interacting with the environment. Otherwise, the traditions of human communication with the water - woven into the historical core of Georgian society - will begin to break down, a crisis of metabolism will occur, and only certain elite groups will gain temporary benefits.

¹² A Hungarian philosopher and author of *Beyond Capital: Toward a Theory of Transition and Marx's Theory of Alienation*

In modern times, the downfall of humans' metabolization of nature happens not because society's cultural adaptation mechanisms and Technologies lack development, but on the contrary - due to the logic of capital, its development and its excessive use. In this context, climatic and environmental changes play a doubly important role in the disruption of the metabolism of nature. As a result of modern production, the earth is polluted, and products do not return back to it. The planet is being emptied of its exhaustible resources - this can no longer be characterized as metabolization. Depleting the planet of natural resources under the logic of capital simultaneously separates humans and nature from the production process. Political mechanisms of domination over society replace a process of man's transformation of the world; labor alienation continues, and the means of production - mechanisms of cultural adaptation, in our case - are subordinated to this power. Nature is expelled from the moment it is considered a mere external effect of the economy. In the production of this kind, nature can no longer process waste and can no longer produce natural resources included in the metabolic cycle of nature; therefore, nature loses its autonomy, and humans lose their freedom. Logically, the solution to this crisis would be the restoration of the metabolic cycle, i.e. transition of society to a state where mechanisms of cultural adaptation work in practical harmony with nature. Nowadays, the only guarantee of this is the democratization of science, innovations and means of production/technologies, that is to say - their political transformation, a set of actions determined by needs that consider all groups of society.

Here, it is also vital that we argue for the democratization of transformation and production of natural resources. We have already proven that natural resources contain the elements necessary for human life, and the transformation process of these resources defines the essence of human existence. In this sense, the human right to resources is a universal and fundamental right. This might be hotly debated, in the same way as once the recognition of fundamental social and economic rights used to be. However, the realization of civil and political rights is hard to imagine without the rights to natural resources, just as imagining human rights without economic and social rights. The freedom of individuals in a society becomes a reality only when they themselves govern what their lives entirely depend on - just as their minds. Thus, freedom can only be achieved by recognizing the collective rights of humans to the resources, i.e. the earth. Acquiring natural resources necessary for humans' biological existence happens through collective labor, these resources are produced by nature without human participation, so they cannot be individualized. As acquisition and resource use are social (with their ecological limits and close connections with the complex whole), this right is collective.



№ 1312. Тифлес. Мельницы на реке Кури

Grain-grinding floating mills on Mtkvari River, Tbilisi, the beginning of XX century; © Digital Library "Iverieli" of the National Library of the Parliament of Georgia.
მარცვლეულის საფქვამი მოცურვები ნისქვილები მფინარე მტკვარზე, თბილისი, XX საუკუნის დასაწყისი; © საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“.

In contrast, the formation of the earliest civilizations took place through a process of centralization; for example, organizing and managing large hydraulic constructions was not enough to save civilizations in the process of great climatic changes. Perhaps technological revolutions should be triggered when the ruling class loses its sense of reality, the existing order strips society of its ability to adapt, a crisis of metabolization or an insurmountable ecological limit appears and in parallel, the climate changes drastically. The existence of conditions leading to the technological revolution or even the necessity of revolution does not by itself imply that changes will occur; these changes depend only on societal actions. Either we shall adapt or witness the collapse.

წყლისა და მდინარის როლი კულტურულ ადაპტაციაში: ბუნების მეტაბოლიზაციის კრიზისი და კოლექტიური უფლება ბუნებრივ რესურსებზე

„... მდინარის დინება ნედება, ექთ-ექთ მამურს კვეთს, ხომ-დის კარიც მეპატიონებს შეგამ ღია ჰქონდა; იქ ღირ გაგა-ცებით წყდის ეგბაღეობას ეწეოდა და ვივონის წასმოუნიდ პაგან-პაგანა გუბეებში ღემფანას ნამდვიდი ბაოები გაეშე-ნებინა. ხადგან ამ აღვიძას ნაპიხები ძარზე დაბუხდი იყო, ხეების ღირ ჩხეიდები წყადს ჩვეუდებიზ, მუქმომწვანო ფონს უქმნიდა, თუმც ზოგ საღამოს... ქაბუქანი შუაღლით გასხივოსნებული, ფიქუბისფერი და მცვეთხი, ისიფერში გა-დასური, მინანქისები ტიხებით - იაპონუჲ სტილში მინა-სავი.“

მაჩსედ პუსტი, „სვანის მხახეს“ – „დაკარგდი ღიოს ძიე-ბაში“.

სახეობა *Homo sapiens*-ის ბუნებასთან კომუნიკაციის უნიკალური ფო-რმა პოეზია უნდა ყოფილიყო, რაც, პირველ რიგში, კედლის მხატვრო-ბასა და სკულპტურაში გამოიხატა. თუმცა, ამას წინ უძლოდა ჩვენი უშუალო ევოლუციური წინაპრების მიერ ბუნებასთან შრომითი კომუ-ნიკაციის დამყარება და ამ ურთიერთობაში უპირველეს კულტურათა წარმოშობა. ამ მომენტიდან, ადამიანის პირველმა უახლოესმა წინა-პარმა, სახეობამ *Homo*-ს გვარიდან, *Homo habilis*-მა ანუ „ხელმარწვე ადამიანმა“, პირველად იგრძნო თავისუფლების გემო, როდესაც მის გარშემო არსებული ბუნებრივი გარემო, ამ გარემოში არსებული ბუ-ნებრივი საგნების ავტონომიურობა და მათი არსის განმსაზღვრელი ტექნიკური მახასიათებლები გაიაზრა. სწორედ აქ დაიწყო კაცობრი-ობის მიერ ბუნების შრომითი/კულტურული მეტაბოლიზაცია - ბუ-ნებრივი საგნების შრომითა და ტექნოლოგიებით გარდაქმნა.

ბუნება თავისთავადი და კომპლექსურია, მას გააჩნია ისტორია, ადა-მიანი კი ამ ისტორიის განუყოფელი ნაწილია. თუმცა, ამ ცოდნით გაუღენთილი, ისტორიული და საზოგადოებრივი ფაქტორებით გა-შუალებული შრომის პროცესით ადამიანი ბუნებისგან იმდენადვე თავისუფლდება, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული. ეს დაძაბუ-ლობა ვერ იქნება ცალსახად წინააღმდეგობრივი, რადგან გონიერ პროცესთან გვაქვს საქმე. მეტიც, ამ შინაარსის კომპლექსურ და-ძაბულობას შეუძლია მუდმივად შვას გარემოსთან ურთიერთობის ალტერნატიული გზები, რადგან რამდენადაც ის გონიერია, იმდე-ნად – თავისუფალი და რეალურია. ეს ყველაფერი შეიძლება გავი-გოთ, როგორც ჰარმონია - გარემოსთან იმგვარი ურთიერთკავშირი, რომელიც სამყაროს კომპლექსური მთელის ლოგიკით გარდაქმნის.

ამ ლოგიკით, ბუნებრივი საგნები რესურსის შინაარსს იძენს, თუმცა გარემო პირველად მას ადამიანის მონაწილეობის გარეშე აწარმოებს, ნედლ მდგომარეობაში. ბუნებრივი რესურსის ტექნიკური მახასიათებლების შემცნება, მისი მოპოვება და გამოყენება ადამიანის ეკონომიკური საქმიანობისა და ბუნებასთან ადაპტაციის საბაზისო ელემენტია: ერთი მხრივ, ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულება განსაზღვრავს ადამიანის ყოფას, მაგრამ მეორე მხრივ, ადამიანის ისტორიულ-სოციალური ფორმაცია და ტექნოლოგიური განვითარების დონე განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსების მეტაბოლიზაციის ხასიათს - ადამიანი თვითგაშუალებული არსებაა.

თანამედროვე ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, ირლვევა მეტაბოლიზმის ჰარმონიულობა, რადგან გარდაქმნილი საგნები ბუნებას შებოჭილი სახით უბრუნდება, რითაც ბუნებას გადამუშავების, ხოლო ადამიანს მეტაბოლიზმის შესაძლებლობა ეზრუდება. წარმოიქმნება კრიზისი, რომელიც იმდენადვეა ისტორიული და სოციალური, რამდენადაც ეკოლოგიურია. ადამიანის მიერ ბუნების მეტაბოლიზმის რღვევა და მასთან ასოცირებული კრიზისები ისტორიას ახსოვს, ასევე, არქეოლოგიური კულტურების ტექნოლოგიური განუვითარებლობით გამოწვეული მეტაბოლიზმის შეუძლებლობით, განსაკუთრებით კი გლობალური კლიმატისა და გარემოს ცვლილებების ფონზე, რაც ამ ცივილიზაციათა გაქრობით სრულდება.

კულტურას აქ განვსაზღვრავთ, როგორც სოციალურ ქცევათა, ურთიერთობათა, ექსტრა-სომატურ ადაპტაციურ მექანიზმთა და საშუალებათა ერთობლიობას. კულტურული ადაპტაციის მექანიზმების ფუნქციონირება განისაზღვრება ისტორიული სოციალური და გარემო პირობების სხვადასხვა კომბინაციით. ამ ადაპტაციურ მექანიზმთა ეფექტური ფუნქციონირება დამოკიდებულია საზოგადოებაში სხვადასხვა ტექნოლოგიათა განვითარებაზე. ტექნოლოგია საზოგადოებრივ სისტემაში არსებულ ურთიერთობათა და ქმედებათა ის ერთობლიობაა, რომელიც შედგება ბუნებრივი რესურსის მოპოვების, მოხმარების საგნების წარმოების, წარმოების პროცესის ორგანიზებისა და მოხმარების აქტივობებისაგან - გამოყენებით დაწყებული, დასრულებული საგნების წარჩენად ქცევისა და გადამუშავების პროცესით. ერთი სიტყვით, წარმოების წარჩენის ხასიათი განსაზღვრავს მისივე ციკლურობის ხარისხსაც, რაც გადამწყვეტია მეტაბოლიზაციისთვის. ტექნოლოგიურ განვითარებაში ინოვაციებსა და გამოგონებებს მნიშვნელოვანი როლი აქვს, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოების საშუალებების განვითარებასა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილებასთან, ისევე, როგორც, პროგრესის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

პეგელის ბუნების ფილოსოფიისა და მარქსის კაცობრიობის ბუნებასთან ურთიერთობის მეტაბოლიზმისა თუ მისი რღვევის/კრიზისის იდეებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვისაუბროთ ბუნებრივი რესურსების, კერძოდ წყლის რესურსის ფლობისა და მოპოვების უფლების ისტორიულ ხედვაზე, რომელიც ცდილობს არქეოლოგიური გადმოსახედიდან განიხილოს კაცობრიობის ბუნებასთან მეტაბოლური ურთიერთობის რღვევის ფენოლოგიური განვითარების ისტორიული როლი.

წყალი სიცოცხლის ფუნდამენტური ელემენტია და ორგანიზმების ცხოველებების ყველა დონეზე მონაწილეობს. მტკნარი წყალი დედამინაზე არსებული წყლის მარაგის მხოლოდ 4 %-ს შეადგენს - ყინულის, მიწისქვეშა წყლების, მდინარეებისა და ტბების სახით. კლიმატური ცვლილებების ფონზე, მტკნარი წყალი ამონურვად რესურსად გვევლინება. მდინარე მტკნარი წყლის ფუნდამენტური რესურსია, რომელიც ეკოსისტემებსა და ადამიანებს ასაზრდოებს. პალეოლითიდან მოყოლებული, ადამიანის გადარჩენა წყალსატევებსა და მდინარეებზე იყო დამოკიდებული, Homo-s გვარისა და ჩვენი წინაპარი სახეობის, Homo erectus-ის, ანუ გამართული ადამიანის აფრიკის მიღმა პირველი გავრცელების პროცესი შედარებით წყალუხვი ტერიტორიების ძიებითაც ხასიათდებოდა, გარდა სხვა კლიმატური და ეკოლოგიური ფაქტორებისა, რისთვისაც გადამწყვეტია გლობალური წყლის ცირკულაციის როლი. ეს პერიოდი დაემთხვა გლობალურ კლიმატურ ცვლილებებსაც - 2.7 მლნ. წლის წინ გვიან პლიოცენურ კლიმატურ კოლაფს და დაახლ. 1 მლნ. წლის წინ გამყინვარებების ინტენსიურობის ზრდას. საქართველოში აღმოჩენილი, ევრაზიის უძველესი Homo erectus-ის დამანისისა და ოროზმანის ადგილსაპოვებლებიც წყალსატევებისა და მდინარეების გარშემოაკონცენტრირებული. მოგვიანო პერიოდებშიც, წეანდერტალელთა და ანატომიურად თანამედროვე ადამიანთა განსახლებასა და მის ხასიათზე გამყინვარებებმა და გვალვებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია. ეს პროცესი დიდი ზომის წყალსატევებთან, მდინარეებთან და წყლის მიერ გამომუშავებულ კარსტულ მღვიმეებთან მშედროდ იყო დაკავშირებული. პლეისტოცენის¹ პომინინებისთვის² სამხრეთ კავკასია, კერძოდ კი საქართველოს ტერიტორია მნიშვნელოვან ბიოგეოგრაფიულ როლს ასრულებდა, რადგან კომპლექსური ხასიათისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, კლიმატური ცვლი-

1 დედამინის ისტორიის მეოთხეული პერიოდის შუა ეპოქა, რომელიც დაიწყო 2,588 მლნ. წლის წინ და დამთავრდა 11,7 ათ. წლის წინ.

2 პომინინთა ფენოლოგიური მონიცავის ანატომიურად თანამედროვე ადამიანს, მის უახლეს გადაშენებულ სახეობებსა და გვარებს.

ლებები აქ არ განვითარებულა ისე დრამატულად, როგორც ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილო-ცენტრალურ ევროპაში. მაშინ, როდესაც ზედა ბლეისტოცენის³ გამყინვარების პერიოდებში რეგიონის ყველაზე დიდი ზომის მყინვარები სწორედ ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა, დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ხასიათდებოდა მოზაიკურობით, გაშლილი მინდვრებით, ღრმა ხეობებით, მთის სტეპებით, წყალუხვობითა და ჭარბტენიანი, ტყიანი გარემოთი.

ამ რეგიონში გამყინვარების დროს სივრცულად შემჭიდროებული და მცირე ფართობებზე გავრცელებული თავშესაფრები ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა სითბოს მოყვარული მცენარეებისთვის, რომლებიც გამყინვარებათაშორისი პერიოდების დროს აღარ იყო შეზღუდული და გაცილებით დიდ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა. ამ პროცესებს თან სდევდა მცენარეული საფარის სიმაღლებრივი ზონალობების ცვლილებებიც, რაც ადამიანებსა და ცხოველთა სამყაროზე ახდენდა გავლენას. ნესტიანმა გარემომ და მძლავრი კირქვული მასივების არსებობამ კარსტული რელიეფისა და მღვიმეების ფორმირებას შეუწყო ხელი. როგორც ჩანს, ამგვარმა ხელსაყრელმა პირობებმა განაპირობა სწორედ ნეანდერტალელებისა და ანატომიურად თანამედროვე ადამიანის მიერ საქართველოს მჯიდრო განსახლება და მდინარეთა ხეობების დაკავება.

საქართველოს პალეოლითურ ძეგლებზე აღმოჩენილი მასალისა და კვლევების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნეანდერტალელები, სამხრეთ კავკასიაში, სავარაუდოდ ახლო აღმოსავლეთიდან, დაახლოებით 260 ათასი წლის წინ მოვიდნენ და 47 ათასი წლის წინ გადაშენდნენ; 46 ათასი წლის წინ კი სამხრეთ კავკასიაში გავრცლდა თანამედროვე ადამიანი, რომელმაც ნეანდერტალელები ჩაანაცვლა. ეს პროცესი კარგად არის აღბეჭდილი ცუცხვათის მღვიმური სისტემის, ორთვალა კლდის, საკაჟიას, ძუძუანას⁴ და სხვა მღვიმეების დროის კაფსულებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიისა და - მისი მთათაშორისი ბარის ხასიათს მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მდინარეები, ამიტომ, ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის ლანდშაფტი მნიშვნელოვან ბიოგეოგრაფიულ რეფუგიუმს⁵ ქმნიდა, მთათა სისტემები კი, თავისთავად, ბარიერებს ქმნიდა გამყინვარებების პერიოდში ადამიანთა გადაადგილე-

ბისთვის და არა მხოლოდ. პოლოცენში⁶ უკანასკნელი გამყინვარების კულმინაციის დროს შეზღუდული ურთიერთობების გახსნამ გააძლიერა ახლო აღმოსავლეთთან კავშირი და ადამიანების იმ პარალელურ სერიას შეუწყო ხელი, რომლებმაც გამყინვარებას რეფუგიაში შეაფარეს თავი. სწორედ ამ პროცესებმა შეადგინა კავკასიის გენეტიკური სურათიც.

ვინაიდან ამ მცირე მიმოხილვაში კაცობრიობის ისტორიას ადამიანის მიერ ბუნების მეტაბოლიზაციისა და მისი კრიზისების კონტექსტში განვიხილავთ, უადრესი ცივილიზაციების მაგალითის მოშველიებაც მოგვიწევს. პირველი ადრეული ცივილიზაციები, ე.ი კომპლექსური საზოგადოებები ადრეულ და შუა პოლოცენში დაახლოებით 10-6 ათასი წლის წინ იწყებს გამოჩენას, იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დედამიწას უდაბნოს სახით აქვს შემორტყმული ქარად ჩრდილოეთ აფრიკიდან - სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიამდე. ეს ნეოლითური რევოლუცია, გლობალური ინფორმაციული სისტემისა და ინოვაციების შექმნის პირველი ნაბიჯები: ადამიანი იწყებს წარმოებას, მინათმოქმედებას, მეცხოველეობას, მისდევს დამკარი ცხოვრების წესს, საზოგადოება სტრატიფიცირდება და შრომა ნაწილდება, ადამიანი ეწევა მაღალორგანიზებულ სამუშაოებს, იბადება ურბანული ცენტრები და ქალაქები. ეს ცივილიზაციები გარს ერტყმიან მდინარეებს: ნილოსს, ევფრატს და ტიგროსს, განგს, ხუანხეს. სწორედ ამ დროს იქმნება საირიგაციო სისტემები და შენდება სხვადასხვა სახის პიდრავლიკური ნაგებობები, მათ შორის პირველი წყალსაცავები.

ეგვიპტური, მესოპოტამიური, ეგეოსური, ხეთური, ლონგშანის, ჰარაპას ცივილიზაციების აღმასვლა და კოლაფსი პოლოცენის კლიმატურ და გარემოს ცვლილებებს დაემთხვა, რომელიც გაზრდილი გვალვიანობის ტენდენციით ხასიათდებოდა. როგორც ჩანს, თავდაპირველმა არიდიფიკაციის⁷ პროცესმა აამუშავა ადამიანის კულტურული ადაპტაციის მექანიზმები და გამოიწვია კომპლექსური და მაღალორგანიზებული ქცევების სტიმულირება, რაც ყოველივე ზემოთქმულში გამოიხატა. მაგრამ მომდევნო პერიოდებში განვითარებულმა კლიმატურმა ცვლილებებმა, ხალხთა გადასახლებებმა, ომებმა და ცივილიზაციების განვითარების პირველ საფეხურებზე ადაპტაციური ტექნოლოგიების ნაკლოვანებებმა, 3200 წლის წინ, ბრინჯაოს ხანის დასასრულს, მმართველთა მცდელობების მიუხედავად, მოეხდინათ წყლის რესურსის ეკონომია, მთელი რიგი საირიგაციო სისტემები

3 129-11 ათასი წლის წინ

4 ყველა ეს მღვიმე მდებარეობს იმერეთის რეგიონში

5 ეკოლოგიური თავშესაფარი

6 თანამედროვე გეოლოგიური ეპოქა როემლიც 11700 წლის წინ დაიწყო

7 ხანგრძლივი გვალვიანობა, კლიმატის გამშრალიანება

უსარგებლო გახადა და გამოიწვია ცივილიზაციათა კოლაფსი - ეს გვიან ბრინჯაოს ხანის კოლაფსია.

სამხრეთ კავკასია ცოცხალი ორგანიზმებისთვის და ადამიანთა განსახლებისთვის მუდამ მნიშვნელოვან ბიოგეოგრაფიულ თავშესაფარს წარმოადგენდა, მათ შორის, მუდამ ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მძიმე კლიმატური ცვლილებების დროსაც. კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდა წინა აზის, მესოპოტამიის, ირანისა და ეგეოსის ტერიტორიებზე გავრცელებულ ცივილიზაციებთან. ამ პირველი ცივილიზაციების გაჩენასთან ერთად, კავკასიის ტერიტორიაზე ადგილობრივი მეზოლითური კულტურის საზოგადოებების განვითარებისა და დასავლეთ აზიურ კულტურებთან კომუნიკაციის საფუძველზე, ნეოლითური ადრესამინათოქმედო კულტურები დაახლოებით 8000 წლის წინ იწყებს გამოჩენას. დასავლეთ საქართველოში ნეოლითის ხანის ნამოსახლარები უპირატესად შავიზღვისპირეთშია თავმოყრილი. რამდენიმე ნამოსახლარი მდინარეთა ხეობებშიც მდებარეობს, სადაც გვხვდება ოთხკუთხა, თიხით შეღესილი წნულებისგან შეკრული ქოხის ტიპის ნაგებობები, რომლებშიც კერები იყო გამართული. აღმოსავლეთ საქართველოს ნეოლითი აღმოსავლეთ კავკასიური ადრესამინათოქმედო კულტურის არეალში ვითარდება. ამ კულტურისთვის დამახასიათებელი დასახლებები მდინარეების, ხრამისა და დებედას გასწვრივ მჭიდროდ არის კონცენტრირებული. აქ გვხვდება მრგვალი ან ელიფსური, გუმბათოვანი, ალიზ-აგურის⁸ ორგანულფილებიანი შენობები. ამ პერიოდში ჩნდება სამინათოქმედო იარაღებიც. არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული ძვლოვანი მასალა მეცხოველეობის განვითარებაზე მიუთითებს, ვითარდება მეთუნეობა, გვხვდება ხელით ნაძერნი, ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი.

აზის სხვა, კომპლექსური საზოგადოების ცენტრებისგან განსხვავებით, სადაც საირიგაციო და ჰიდრავლიკური სისტემები შედარებით განვითარებული იყო, ამიერკავკასიაში მხოლოდ რამდენიმე ნამოსახლარე გვხვდება ჰიდრავლიკური ფუნქციის არხები, თუმცა, მათი ფუნქცია ჰქონდა არ არის დადგენილი. ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მიწის მორჩყვას არარეგულარული ხასიათი უნდა ჰქონდა და მარტივი მიწის არხების მეშვეობით ყოფილიყო შესაძლებელი, რასაც ხელს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალუხვი, ჰიდროლოგიური რეჟიმი უწყობდა.



Djurtrchula River valley, rich in Neanderthal and Homo sapiens cave sites, Chiatura - landscape captured by drone; © Ilya Gogia, 2020

ნეანდერტალელისა და პომი საპეენსის მიერ განსახლებული, მდვიმეებით მდიდარი მდინარე კაუჭულას ხობა, ჭიათურა - დრონით გადაღებული ლანდშაფტი; © ილია გოგიავა, 2020



Contaminated river Poladauri by the mine drainage. Lower Kartli region. Bolnisi municipality; © Nikoloz Tsikaridze, 2017

კარიერული წყლებით დაბინძურებული მდინარე ფოლადაური, ქვემო ქართლის რეგიონი. ბოლნისის მუნიციპალიტეტი; © ნიკოლოზ ნიქარიძე, 2017

დასავლეთ საქართველოში ენეოლიტის, ე.ი სპილენძ-ქვის ხანის პერიოდი უფრო ადრე იწყება, ვიდრე აღმოსავლეთში. ეს ის პერიოდია, როცა ადამიანი წარმოდგენას იქმნის ლითონების პირველად ტექნიკურ მახასიათებლებზე და მათ ნედლი მდგომარეობიდან გარდაქმნის ცივი ჭედვით, მაგალითად, ნივთებს, როგორიცაა: სადგისი, ისრისპირი და სათევზაო ნემსკავი - ეს უკანასკრელი ადამიანის მდინარესთან აქტიურ ურთიერთობაზე მიგვანიშნებს. ამ დროს ადამიანი მნიშვნელოვნად იკავებს გამოქვაბულებსაც და შესაბამისად, ისევ იწყებს მდინარის ხეობების ათვისებას. როგორც ჩანს, მღვიმეურ სადგომები ადამიანი უფრო მეტად მეცხოველეობას, ხოლო ღია ნამოსახლარებზე - მიწათმოქმედებას მისდევდა. ღია ნამოსახლარებიც მდინარეების გასწვრივ არის განლაგებული. ჩანს, რომ ამ დროს ჭერვიდევ არ არის ათვისებული კოლხეთის დაბლობის დიდი ნაწილი, სავარაუდო ამ ტერიტორიების დაჭაობების გამო. აღმოსავლეთ საქართველოს შემთხვევაში კი არქეოლოგები დღემდე დავობენ ენეოლიტური კულტურის წარმოშობის საკითხებზე. თუმცა, დიდი ალბათობით, აქაც ადგილობრივ ადრესამინათმოქმედო ნეოლიტში აღმოცენებულ კულტურასთან გვაქვს საქმე, რომელიც შედარებით მწირადაა წარმოდგენილი არქეოლოგიური მონაცემებით. მომდევნო პერიოდში, ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულში, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება მდინარეების, მტკვრის და არაქსის შუამდინარეთში ჩამოყალიბებული ენეოლიტ-ადრებრინგაოს ხანის ე.წ. „მტკვარ-არაქსის“ კულტურა, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიური და დასავლეთ აზიური, მრავალეთნიკური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ნაწარმი უნდა იყოს. მტკვარ-არაქსელებს გარკვეული ურთიერთობები უნდა ჰქონოდათ მესოპოტამიელ ურუქელებთან, თუმცა, მათ კულტურაზე არ არეკლილა ის მახასიათებლები და ინოვაციათა ნაწილი, რომლებმაც გილგამეშის ქალაქს ძლევამოსილება მოუტანა. მტკვარ-არაქსულმა კულტურამ, IV ათასწლეულის მიწურულს, სამხრეთის მიმართულებით გაფართოება დაიწყო, რაც, შესაძლოა, ამავე პერიოდში ურუქის კულტურის დაღმასვლით იყო განპირობებული. ამ დროისთვის, ეს კულტურა უკვე გავრცელებულია აღმოსავლეთ კავკასიაში, ასევე, დასავლეთ საქართველოს ყვირილის აუზში, ჩრდილო დასავლეთ ირანში, ანატოლიასა და ლევანტში.

მიუხედავად იმისა, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა მრავალეთნიკურობის ელფერს ატარებს და რეგიონულობით გამოირჩევა, ის ძლიერი საერთო სოციალური იდენტობის მატარებელიც არის და საცხოვრებელი სივრცის მოწყობის ფორმალიზებითაც იწონებს თავს.

როდესაც ურუქში მეთუნეობის ძირითადი მამოძრავებელი ძალა მორგვი და ყალიბები იყო, მტკვარ-არაქსის კულტურაში ჩერ კიდევ ხელით წაძერნი ჭურჭელი გვქონდა.

მოსახლეობა მჭიდროდ არის განსახლებული მდინარეების გასწვრივ მდებარე კონცხებზე, წყალგამყოფ მთაგრეხილებსა და ფერდობებზე, მათი ურბანული სტრუქტურა კარგად დაგეგმარებული და ლანდშაფტის შესაბამისია. საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ახალი არქიტექტურული ტრადიცია. წრიულ ნაგებობებს ოთხკუთხა, ხის ბოძებით, წნულებით, სარებითა და ქვებით ნაშენები ნაგებობები ანაცვლებს. მტკვარ-არაქსის ეპოქაში მიწათმოქმედება საკმაოდ განვითარებული იყო და ვინაიდან ურუქისთვის დამახასიათებელი მაღალორგანიზებული საირიგაციო და ჰიდროკური სისტემები არქეოლოგიურად არ დასტურდება, ვარა უდობენ, რომ აქ ურწყავ მიწათმოქმედებასთან ან არარეგულარული ხასიათის საირიგაციო სისტემებთან უნდა გვქონოდა საქმე.

მართალია მტკვარ-არაქსელები მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მაგრამ მეტალურგია უკვე ცალკე დარგად იყო გამოყოფილი. ამაზე მეტყველებს საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო, რომელიც 2014 წელს, სამთამადნო რუსულმა კომპანია „RMG“-მ, სახელმწიფოს ხელშეწყობით, მანის მოპოვების მიზნით ააფეთქა. საყდრისის მაღაროსა და ძევდების ნამოსახლარზე ოქროს მოპოვების სრული სამთამადნო ციკლი დასტურდება. საყდრისის ნაპრალებში გაჭრილი გვირაბებიდან ისევე ამოჰეონდათ ცეცხლისა და წყლის ძალით მოპოვებული ოქროს შემცველი მადანი, როგორც ჰუკები ეზიდებოდნენ ძვირფას ქვებსა და ლითონებს ხაზად-დუმის დიდებული მიწისქვეშა მაღაროებიდან.

დასავლეთ საქართველოს ბრინჯაოს ხანაში, მიწისა და ლითონის ძიებისას, ადამიანი მიუყვება მდინარის ხეობებს, ავითარებს მეტალურგიასა და სამთამადნო საქმეს, ითვისებს კოლხეთის დაბლობის ჭაობიან გარემოს, ამ პროცესში კი ვითარდება ჭაობიანი, მდინარის ჭარბტენიან და ნესტიან ჭალებში ადაპტაციის კულტურული მექანიზმები. ნამოსახლარები ხელოვნურ ბორცვებზე შენდებოდა, სამშენებლო მოედანი მოზინული მიწისა და ხის ბოძებისგან იმართებოდა. აქ, ძირითადად, ძელური ნაგებობების ნაშთები გხვდება - ვარაუდობენ, რომ ზოგიერთი მათგანი ხიმინჯებზეც იდგა. ეს ხელოვნური ბორცვები გარშემორტყმული იყო სადრენაჟო თხრილებითა და წყლის არხებით, რომლებსაც თავდაცვითი და საკომუნიკაციო ფუნქცია ჰქონდათ. ამ ბორცვებს გარს თხრილშემოვლებული სამეურნეო მოედნებიც ეკრა, რომლებიც არხებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავ-

⁹ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

შირებული. ადამიანმა ამ დროს ისწავლა როგორც მდინარის ჭაობი-ანი ჭალების ჰიდროლოგიური სისტემის გამოყენება, ისე მისი სამე-ურნეო სავარგულებად გარდაქმნა. საარხე სისტემა უზრუნველყოფდა მდინარის წყლით დაჭაობებული ტერიტორიების მდინარეების შლა-მით შევხებას და ამ პროცესის კონტროლს. მოგვიანებით, ჰიდროკრატე იტყვის, რომ კოლხები არხების მეშვეობით გადაადგილდებიან ხეში ამოღებული ნავებით.

გარდა ამისა, მდინარეების აყოლებაზე, ღრმა ხეობებში, კავკასიონის კალთებზე ადამიანი მაღაროული წესით მოიპოვებდა ძვირფას ლითონებს, მდინარეებს კი ოქრო მოჰყვებოდა, ისევე, როგორც დღე-მდე მოჰყვება. ანტიკურ ხანაში მდინარეებს, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს, ეს მისტიკურობას მატებდა და ოვთაებებად აქცევდა, რომლებიც ოდითგან ქალაქთა მფარველებად და ეპონიმებად გვე-ვლინებოდნენ. მაგალითად, მდინარე ფაზისს - ე.ი რიონს ხშირად ვაწყდებით ლეგენდებსა და უძველეს ისტორიულ წყაროებში. ის არგონავტების თქმულებაშიც ჩნდება, სადაც აღნერილია ამბავი ბერძნების მიერ მეფე აიეტის სამფლობელოდან - კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცებისა და არგონავტების ლიდერის და გრძე-ული მედეას სიყვარულის შესახებ.

მომდევნო პერიოდებში, გვიან ბრინჯაოს კოლხურ და აღმოსავლეთ საქართველოს გვიან ბრინჯაო - ადრეკინის ხანაში ყალიბდება ქა-რთველ ტომთა დიდი პოლიტიკური გაერთიანებები. პოლიტიკური კონფლიქტებისგან განსხვავებით, კლიმატური ცვლილებების ზეგა-ვლენა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ გაერთიანებებზე და-დასტურებული არ არის, მაშინ, როდესაც სამხრეთ-დასავლეთ აზიაში კლიმატური ცვლილებები გვიან ბრინჯაოს კრიზისის დაფგომისთვის გადამწყვეტ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამ პერიოდებიდან, გრანდიოზული ჰიდრავლიკური ნაგებობები საქართველოს ტერიტო-რიაზე არ დასტურდება, თუ არ ჩავთვლით რომაული და მოგვიანო პერიოდის აბანოებს, საირიგაციო, საკანალიზაციო და წყალგაყვა-ნილობის სისტემებს. ამის მაგალითია ქვ. ნ. II-1 საუკუნეების დედო-ფლის მინდვრის ტაძარი (მდებარეობს შიდა ქართლში, ქარელის მუნიციპალიტეტი) სადაც დადასტურებულია შიდა ბაღების სარწყავი სისტემის ნაშთები. ეს ჰადოსნური ბაღები, როგორც რეკრეაციული სივრცეები, ღვთაებათა ტაძრებსა და მმართველთა სასახლეებს ამ-შვენებდა.

ახ. ნ. I-IV საუკუნეების მნიშვნელოვანი წყლის ინფრასტრუქტურული სისტემები არმაზის ხევისა¹⁰ და ძალისასა¹¹ რომაული ტიპის აბანოე-ბია, სადაც დადასტურებულია ჰიპოკაუსტური, ე.ი იატაკვეშა გათ-ბობა და სხვადასხვა განყოფილებები. მაგალითად, ძალისაში და-დასტურებულია ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილი საცერაო აუზი, გამართული წყალსადენები და საკანალიზაციო სისტემა. ძალისა ცნობილია მოზაიკური იატაკითაც, სადაც გამოსახულია დიონისე და არიადნა. შუა საუკუნეების საქართველოში, გვხვდება აღმოსავლური ტიპის აბანოებიც, რომელთა ნაწილიც თბილისში დღემდე მოქმე-დებს.

მდინარეები საქართველოში სავაჭრო და სატრანსპორტო ფუნქცია-საც ითავსებდა, რაც მოგვიანო საისტორიო წყაროებით დასტურდება. საქართველოში მდინარეებს ეტანებიან მთელი ისტორიის განმა-ვლობაში - შეიძლება ითქვას, კავკასიური კულტურები მდინარეები კულტურებია. როგორც ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, სტრაბონი ამბობდა, „ეს ქვეყანა უფრო მეტად ირწყვის მდინარეთა და სხვა წყლებით, ვიდრე თვით ბაბილონი და ეგვიპტე“.

თუ დავუშვებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მიწათმოქმედება უძველესი დროიდან საკამაოდ განვითარებული იყო და შესაბამისად, აქ გავრცელებული კულტურებისთვის წყლის მართვის ტექნოლო-გიები - კარგად ნაცნობი გახლდათ, თვალსაჩინო გახდება, თუ რატომ გვხვდება უძველესი ცივილიზაციის მასტებული ჰიდრავლიკური პროექტები მხოლოდ მოგვიანო პერიოდის ელინისტურ სამყაროსა და რომის იმპერიაში. როგორც ჩანს, წყალუხვობის, მდინარეთა სი-მრავლისა და წყლის ხელმისაწვდომობის გამო, საქართველოში ეს აუცილებლობას არ წარმოადგენდა. შესაბამისად, მიუხედავად სხვა-დასხვა საზოგადოებრივი ფორმაციებისა, მკაცრი ხელით წყლის რე-სურსის მართვის აუცილებლობის საკითხი და წყლის რესურსთან მიმართებაში ადამიანის გამოწვეული ბუნების მეტაბოლიზაციის კრიზისი აქ ისტორიულად არ დამდგარა. საქართველოს პოლიტიკური დეცენტრალიზაციისა და დასუსტების ეპოქაში, მდინარეებისა და წყლის გამოყენება, წყლის სიუხვისა და პოლიტიკური ხელისუფლე-ბის კრიზისის გამო, დიდი ალბათობით, მკაცრად ცენტრალიზე-ბული არ ყოფილა. საქართველოს დედაქალაქში წყალმომარაგების სისტემა, XIX-XX საუკუნის პირველ ნახევარში, ნელ-ნელა თულუხჩებს ანაცვლებს; 1861 წელს ჩნდება მცირე სიმძლავრის ცენტრალიზე-ბული ორთქლის მანქანა, რომელიც 62 სახლს ემსახურებოდა; 1866

10 მდებარეობს ქალაქ მცხეთასთან, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

11 მდებარეობს შიდა ქართლში, ქალაქ მცხეთიდან 20 კილომეტრში.



Plumbing system from I - II century at the Gonio Castle; Source: Wikipedia
I - II საუკუნით დათარიღებული წყალგაყვანილობა გონიოს ციხეში;
წყარო: ვიკიპედია

წელს გაიხსნა ავჭალის წყალსადენი; 1951 წელს კი გაიხსნა თბილისის ზღვის წყალსაცავი . XX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისი უკვე სრულად მარაგდებოდა სასმელი წყლით.

მტკვრის ჰებირებში მოქცევას, თავის მხრივ, შეენირა მდინარეზე მოცურავე წისქვილების საუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც VIII საუკუნის არაბი მოგზაურის, იბნ ჰაუქალის წერილობით წყაროებშიც მოიხსენიება. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, კომუნისტური წყობის დამყარების გამო, წყლის რესურსის გასაქონლება არ მომხდარა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, დიდი სარწყავი სისტემები მწყობრიდან გამოვიდა და გაიძარცვა, ხოლო წყლის სარწყავად გამოყენება უკონტროლოდ ხდებოდა. საბჭოთა კავშირის პერიოდში, სამხრეთ კავკასიაში ენერგოსისტემები და ინფრასტრუქტურა ერთიან საბჭოთა ენერგოსისტემაში რეგიონული მიდგომით დაიგეგმა, სადაც საქართველო ჰიდრორესურსების ენერგეტიკულ ნიშას იგავებდა სომხეთის ატომური ენერგიისა და აზერბაიჯანის წიაღისეულის ენერგეტიკულ ნიშებთან მიმართებით. XX საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა მსხვილმასშტაბიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, აშენდა „ენგურჰესი“, „ჟინვალჰესი“, „ლაჯანურჰესი“ და ა.შ.

საბჭოთა კავშირის დაშლამ საბოლოოდ გაუხსნა გზა გლობალურ კაბიტალიზმს, სრულად ჰქონდა წვდომა მსოფლიო რესურსებზე. ამ პროცესების ნაწილია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაც. თანამედროვე კლიმატის ცვლილებამ და ადამიანის საქმიანობამ მდინარეებზე ზეგავლენის ტემპები გაზარდა - ისინი საგრძნობლად შეცვალა და მათში წყლის კრიზისები გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მდინარეების შესწავლის პროცესი მულტიდისციპლინური, ყოვლისმომცველი და მაღალტექნოლოგიური მიმართულებით წარიმართა, მდინარეთა მდგომარეობა მაინც უარესდება.

ამ ფონზე, 2003 წლის შემდეგ, საქართველოში იწყება ჰიდრორესურსების მაქსიმალური ათვისების პოლიტიკა. უნდა ითქვას, რომ დღე-მდე ვერ მოხერხდა იმ ენერგოსისტემის ეფექტურად ამუშავება და რეგიონული მნიშვნელობის გააზრება, რომელიც საბჭოთა კავშირის შემდეგ მემკვიდრეობით დარჩა ქვეყანას. სისტემა გაუმჯვირვალე, არაკონკურენტული და არადემოკრატიულია, სახელმწიფო ასრულებს იშტვან მესაროშის¹² მიერ აღწერილი „მეორე რიგის მედიატორის“ როლს, როგორც ადამიანის მიერ ბუნების შრომის მეშვეობით

12 უნგრელი ფილოსოფოსი, ავტორი წიგნებისა: „კაპიტალის მიღმა: ტრანზიციის თეორიის მიმართულებით“ და „მარქსის გაუცხოების თეორია“.

მეტაბოლიზმის დესტაბილიზაციისა და გათიშვის გარანტს კაპიტალის ხელში - აქტიურდება წყლის, როგორც ბუნებრივი რესურსის სწრაფი გასაქონლებისა და ათვისების პროცესი, რომელიც ადამიანის მიერ ბუნების მეტაბოლიზმის კრიზისში გადადის. ეს ხდება კლიმატური ცვლილებებისა და წყლის კრიზისის პერიოდში: მაშინ, როდესაც იცვლება გლობალური ჰიდროლოგიური ციკლი, დნება მყინვარები, გაუდაბნობა და წყალზე ხელმისაწვდომობა კი მნიშვნელოვანი გამოწვევა მსოფლიოსთვის.

საზოგადოება ვერ იქნება მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების იმედად, რადგან მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, კაპიტალის დაგროვებაზე დაშენებული ხედვები არ აღიარებს ბუნებრივი საგნების ავტონომიურობას და შესაბამისად, ვერ აღიქვამს ბუნების მნიშვნელოვან ტექნიკურ მახასიათებლებს. მეტროპოლიის პერიფერიულ ქვეყნებში ეს მშენებლობები ისეთივე მყიფეა, როგორც თავად კაპიტალისა და ბუნების ურთიერთობა. ამის ნათელი მაგალითია საქართველოში ათამდე დაზიანებული, ახალაშენებული ჰესი. ამ ტერიტორიაზე ადამიანის წყალთან ურთიერთობის ისტორიული ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ბუნებრივ რესურსებზე კოლექტიური უფლების პოლიტიკური აქტივაცია დემოკრატიზაციის გზით, რაც სახელმწიფოს კაპიტალის ლოგიკის რელსებიდან გადაიყვანს და აიძულებს, გაითვალისწინოს საზოგადოების ყველა ტაგუფის ინტერესი. სწორედ აქ, ადამიანის მიერ ბუნების ავტონომიურობისა და მისი ობიექტური ტექნიკური მახასიათებლების გააზრებით მიღწეული თავისუფლებიდან ამჟავდება მრავალმხრივი კულტურული ადაპტაციის რეალური მექანიზმები; შემსუბუქდება ადამიანის მიერ ბუნების მეტაბოლიზაციის კრიზისი, ამ დაძაბულობაში კი, საზოგადოებამ, შესაძლოა, გარემოსთან ურთიერთობის ალტერნატიული გზებიც შვას. სხვა შემთხვევაში, ქართული საზოგადოების ისტორიულ წიაღში ჩაქსოვილი წყალთან ურთიერთობის ტრადიციები რდვევას დაიწყებს და დამდგარი მეტაბოლიზაციის კრიზისის პირობებში, დროებით სარგებელს მხოლოდ ცალკეული ელიტარული ტაგუფები მიიღებენ.

ადამიანის მიერ ბუნების მეტაბოლიზმის თანამედროვე რღვევა, ერთი მხრივ, გამოწვეულია არა საზოგადოების კულტურული ადაპტაციის მექანიზმებისა და ტექნოლოგიების განვითარებლობისაგან, არამედ, სწორედაც კაპიტალის ლოგიკით განვითარებისა და მათი ჭარბი გამოყენების მეშვეობით. ამავდროელად, ამ რღვევაში კლიმატისა და გარემოს ცვლილებები ორმაგად მონაწილეობს. თანამედროვე წარმოების შედეგად დედამიწა ბინძურდება, წარმოებული საგნები კი აღარ უბრუნდება გარემოს - პლანეტა, განსაკუთრებით,



№ 1285. თბილისი. ველიცი.

Water carriers ("Metulukhche"-s) in Tbilisi, the beginning of the 20th century; © Digital Library "Iverieli" of the National Library of the Parliament of Georgia.

მეთულუხებები თბილისში, XX საუკუნის დასაწყისი;
© საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“.

ამონურვადი რესურსებისგან იცლება. ეს უკვე აღარ არის მეტაბოლიზმი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებრივი რესურსებისგან პლანეტის გამოხშირვა კაპიტალის ლოგიკით ერთიანად თიშავს ადამიანს და ბუნებას წარმოების პროცესიდან. ადამიანის მიერ სამყაროს გარდაქმნის პროცესი საზოგადოებაზე ბატონობის პოლიტიკური მექანიზმებით ნაცვლდება, ხდება შრომითი გაუცხოება და წარმოების საშუალებები - ჩვენ შემთხვევაში კულტურული ადაპტაციის მექანიზმები და ტექნოლოგიები - ამ ძალის ქვეშ ექცევა; ბუნება კი იმ მომენტიდან განიდევნება, როდესაც ის ეკონომიკის გარეგან ეფექტად განიხილება. ამგვარ წარმოებით პროცესში ბუნება ვეღარ გადაამუშავებს წარჩენებს, ვეღარ ანარმოებს იმ რესურსებს, რომლებიც შემდეგ ადამიანის მიერ ბუნების მეტაბოლურ ციკლში ერთვება. ბუნება კარგავს ავტონომიურობას, ადამიანი კი - თავისუფლებას. ამ კრიზისიდან ლოგიკური გამოსავალი მეტაბოლური ციკლის ადდგენაა, ე.ი საზოგადოების ისეთ მდგომარეობაში გადასვლა, სადაც კულტურული ადაპტაციის მექანიზმები ეფექტურად ამუშავდება ბუნებასთან ჰარმონიაში. ამის გარანტი დღეს მეცნიერების, ინოვაციებისა და წარმოების საშუალებების/ტექნოლოგიების დემოკრატიზაცია - პოლიტიკური გარდაქმნაა. ეს გახლავთ საჭიროებებით განსაზღვრული ქმედებების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესს გაითვალისწინებს.

მნიშვნელოვანია, აქვე მოვიხმოთ ბუნებრივი რესურსების გარდაქმნისა და წარმოების დემოკრატიულობის არგუმენტიც. ჩვენ უკვე დავასაბუთეთ, რომ ბუნებრივი რესურსები ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელ ელემენტებს შეიცავს, ამ რესურსების გარდაქმნის პროცესი კი განსაზღვრავს ადამიანის არსს და გადამწყვეტია მისი არსებობისთვის. გამოდის, რომ ადამიანის უფლება რესურსებზე უნივერსალური და ფუნდამენტურია. შესაძლოა, ეს დებულება ისევე გახდეს ცხარე დებატების საგანი, როგორც ოდესლაც სოციალური და ეკონომიკური უფლებების აღიარება გახდა, თუმცა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების რეალიზება ზუსტად ისევეა რესურსებზე უფლების გარეშე წარმოუდგენელი, როგორც ეკონომიკური და სოციალური უფლებების გარეშე. საზოგადოებაში ინდივიდის თავისუფლება მხოლოდ მაშინ იქცევა რეალობად, თუ ის, რაზეც მისი ცხოვრება პირდაპირ არის დამოკიდებული, მისსავე ხელში აღმოჩნდება, როგორც გონება. ამ ლოგიკით, თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია რესურსებზე, ანუ დედამიწაზე ადამიანის კოლექტიური უფლების აღიარების გარეშე, რადგან ადამიანი კოლექტიური შრომით ისაკუთრებს საკუთარი ბიოლოგიური არსებობისთვის აუცილებელ ბუნებრივ რესურსებს, ამ რესურსს კი ბუნება ადამიანის მონაწილეობის გარეშე აწარმოებს. ამიტომ, ის ვერ ინდივიდუალიზდება. რესურსების მო-

პოვებისა და გამოყენების სოციალური ხასიათის გამო - და, ასევე, იმის გამო, რომ ამ ხასიათს ეკოლოგიური ლიმიტი და კომპლექსურ ერთიანობასთან მჯიდრო ურთიერთკავშირი გააჩნია - ეს უფლება კოლექტიურია.

უადრესი ცივილიზაციების ჩამოყალიბება, ამის საპირისპიროდ, გარკვეული ცენტრალიზაციის მეშვეობით მოხდა, მაგალითად, დიდი ჰიდრავლიკური მშენებლობების ორგანიზებითა და მართვით. თუმცა, ცივილიზაციების გადასარჩენად, ძლიერი კლიმატური ცვლილებების პროცესში ეს ცენტრალიზაცია საკმარისი არ იყო. ტექნოლოგიური რევოლუციები ამოქმედებას მაშინ უნდა იწყებდეს, როცა ძალაუფლებული მმართველი კლასი რეალობის შეგრძნებას კარგავს, არსებული წესრიგი საზოგადოებას ადაპტაციის უნარს ართმევს, თავს იჩენს მეტაბოლიზმის კრიზისი ან ჩნდება გადაულახავი ეკოლოგიური ლიმიტი, ამავდროულად კი კლიმატი დრამატულად იცვლება. თუმცა, ტექნოლოგიური რევოლუციისთვის საჭირო გარემოს არსებობა და მისი აუცილებლობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცვლილებები აუცილებლად მოხდება. ეს საზოგადოების მოქმედებებზე დამოკიდებული: ან მოხდება ადაპტაცია, ან დადგება კოლაფსი.





“

The Boom and Bust of Hydropower in Soviet Georgia

By: Giorgi Tsintsadze

ავტორი: გიორგი ცინცაძე

ქართული
ენერგეტიკა
საბჭოთა
კავშირში

”

The Boom and Bust of Hydropower in Soviet Georgia

Abstract

The most intensive construction period in the history of Georgian hydropower began in the 1960s. This period saw the planning and construction of hydropower plants crucial to Georgian energy infrastructure and the development of specialized scientific and research institutions. Consequently, in 1970 Georgia was able, for the first time in history, to fully meet its domestic demand for electricity. The path that the Georgian energy industry took during this period is tied to the economic and environmental history of the Soviet Union, from the Russian Revolution to late socialism.

“Utopia of Electricians”: GOELRO and Early Soviet Electrification

In 1920, H.G. Wells, an English writer of science fiction, visited Russia for the second time. At the time, Wells was already considered the most important author in the genre. His novels *The Time Machine*, *The Invisible Man* and *The War of the Worlds* (depicting a war between Londoners and Martians) were read not only in the anglophone world but throughout Europe. Welles, an engaged socialist, watched the Russian revolution closely, supported it and maintained correspondence with Russian revolutionaries.

In Petersburg, Wells compared the state of the city with what he had seen during his previous visit six years earlier:

“Our dominant impression of things Russian is an impression of a vast irreparable breakdown. The great monarchy that was here in 1914 and the administrative, social, financial, and commercial systems connected with it have, under the strains of six years of incessant war, fallen and smashed utterly [...]; the shops have an utterly wretched and abandoned look; paint is peeling off, windows are cracked [...]; the fixtures have gathered two years' dust; the roads [...] are in a frightful condition. They have not been repaired for three or four years; they are full of holes like shell-holes [...] nothing but ill-clad figures, all hurrying [...] as though the entire population was setting out in flight”.¹

The situation Wells encountered in Petersburg was so dire that it made the futurist nostalgic about Russia's Tsarist past.

In war-torn and half-abandoned Petersburg, Wells and his entourage spared no effort to organize a meeting with Lenin in the Kremlin. Wells wanted to know how the Bolsheviks planned to retain power and how they envisioned building socialism on the ruins of the empire. In his Russian travelogue, Wells emphasizes the idealistic nature of the Bolshevik project as a whole and a particular plan that Lenin shared with him:

“[...] Lenin, who like a good orthodox Marxist denounces all ‘Utopians’, has finally succumbed to a Utopia, the Utopia of the electricians. He is throwing all his weight into a scheme for the development of great power stations in Russia to serve whole provinces with light, transport, and industrial power [...] Can one imagine a more courageous project in a vast flat land of forests and illiterate peasants, with no water power, with no technical skill available, and with trade and industry at the last gasp? Projects for such an electrification are in the process of development in Holland, and they have been discussed in England, and in those densely populated and industrially highly developed centers one can imagine them as successful, economical, and altogether beneficial. But their application to Russia is an altogether greater strain upon the constructive imagination [...] [but] [Lenin] sees the decaying railways replaced by a new electric transport, sees new roadways spreading throughout the land, sees a new and happier Communist industrialism arising again”.²

The Leninist formula, which stated that Communism equals Soviet power plus the electrification of the whole country, seemed utopian to Welles. However, for Bolsheviks, this was a roadmap and a plan that they were to follow in practice.

The economy could not grow without electrification - that much was self-evident. But what should the Soviet energy industry have looked like? The field confronted two equally pressing challenges - it had to satisfy rising demand while also devising a supply network conforming with Soviet ideology and its principles of governance. Energy had to adapt not only to the natural but also to the political and economic landscape. Here too, the Soviet Union would have to start from scratch - existing energy networks were Western and capitalist. There were no blueprints for a socialist energy

Welles, Herbert George, “Russia in the Shadows”. Hodder & Stoughton, Ltd., London, 1920.

2 Ibid.

policy. In this field, as in many others, Marxist-Leninist principles were to be translated into practical, achievable plans for the first time in history.

Two alternative paths of the development of Soviet energy emerged after the revolution: one envisioned the creation of a decentralized network of small stations, while the other proposed a division of the country into large regional grids powered by large stations built and overseen by Moscow. In the first case, priority would be given to relatively small hydropower plants (HPP) and thermal power plants, including coal and peat-based ones. The construction of such plants was to be undertaken by local governments based on actual needs. The alternative was a heavily centralized, vertical process whereby the central government would single-handedly devise and construct, in accordance with the goals outlined in the Gosplan and the five-year plans, giant (by contemporary standards) hydropower and thermal power plants scattered throughout the country.

A special committee set up in February 1920 debated these alternatives for almost a year. At the time, Bolsheviks were divided on the issue of the development of the Soviet economy: the Trotskyist wing of the party advocated for a complete nationalization of the economy and full takeover of production by the state; Stalin and Lenin were in favor of the less radical New Economic Policy (NEP), which entailed temporary retention of elements of the capitalist economy. Both sides agreed that a rapid ramp-up of electricity generation was a necessary precondition for either model.

The committee concluded its work in December 1920 by adopting the State Program of the Electrification of Russia. The plan, dubbed GOELRO (ГОЭЛРО), was the most ambitious project of electrification in history. In a country devastated by the civil war, GOELRO's importance transcended the energy industry, and the plan turned into a vision of the rehabilitation and transformation of the whole economy. The development of energy infrastructure, as Lenin argued, was to become both the precondition to Soviet prosperity and its most tangible outcome. Electrification was to serve as a vexillary of Soviet modernity itself. It was to provide the benchmark for Soviet excellence - an example of large-scale mobilization of technology and labor. Electrification was to bridge the urban-rural divide, achieving what Marx and Engels outlined as one of the most important goals of the communism program.

GOELRO divided the Soviet Union into eight regions, with a list of principal stations and projected installed capacities outlined for each. The program prioritized satisfying existing industrial demand. Consequently, the



1967 Soviet Union postage stamp depicting Leonid Shmatko's "Lenin at The GOELRO Map".

1967 წლის საბჭოთა კავშირის საფოსტო მარკა, რომელზეც გამოსახულია ლეონიდ შმატკის „ლენინი გოელროს რეკასთან“.

economically advanced regions received a bigger share of investment. The most industrially important regions at the time - the “Central Industrial” and “Northern” regions - received ten principal stations with a total capacity of 560 MW. Based on GOELRO, during the first stage of the program, only 4 stations would be built in the Caucasus, as the region’s industry amounted to a largely negligible part of the economy. These would be supplemented by 8 additional stations later, bringing the total installed capacity to 483 MW.

Despite the seeming contradiction between the concepts of energy independence and energy exportation, these ideas coexist in political discourse and are often used as a geopolitical blackmailing tool - in terms of the promise to foster closer ties with Europe. However, a closer examination of the European Union's policies towards candidate countries or countries seeking candidate status reveals that due to the strict regulatory framework directives, which strictly regulate the construction of not only large dams but also small hydropower plants in EU member states, maximum utilization of hydro resources occurs on the periphery of the European Union. This policy is carried out with the active involvement of financial institutions, often resulting in a repressive form of neoliberal authoritarianism (Piletić, 2023). Interestingly, in the case of mineral extractivism, the growing emphasis on environmental protection in developed countries is often enough to put pressure on underdeveloped countries, requiring them to abandon their mineral reserves and open up their territories to meet the global market demands (Acosta, 2013). Thus, parallel to energy crises, peripheral countries face increasing pressure to open up their territories as transit or export corridors and make important resources, such as water, available for neo-colonial plunder to meet global demand.

Social Impacts of Hydro-Resource Development: An Attack on Life

The introduction to the article features an excerpt from Dato Barbakadze's poem, which highlights the power of life cycles for reproduction and ends with the notion that death is cursed with life, as life suppresses death by the very magic of reproduction power when it returns in various forms. However, modern economic and technological systems, driven by extractive power, are increasingly transforming life forms into non-renewable processes (Sassen, 2014). It can be said that they threaten and kill precisely this biological or symbolic power of victory over death by the renewal of life since one of the main characteristics of the extractivist process is that it depletes resources faster than they can be replenished. This is particularly concerning water, which is already a dwindling resource due to climate change, rising pollution, and increasing demand, and is not as fixed as mineral supplies. Therefore, despite the dwindling water resources, the planned hydroelectric power projects resemble the extractive attack on the natural renewal of minerals, except with even more alarming consequences, reflecting the damage that has already occurred in the project-affected areas of the HPPs built in Georgia in recent years.

The presupposition that nature is unproductive and that production is only accomplished when mediated by technology—even when it results in the destruction of life along the way—is the very assumption that ultimately created death-producing economic and technological systems. The atrocities produced by such a system on a daily basis, together with the practices of severe exploitation, violence, and modern slavery, involve a whole cascade of displacement: people are expelled from basic welfare systems, expelled from employment, and from social activism. People are also forced out of their living environments, villages, cities, and countries as a result of these systems (Sassen, 2014). These cycles of expulsion, although relatively new, are based on this very presupposition that eventually led to the demise of subsistence economies and their replacement with market relations; Farms that relied on the natural resources of lands, rivers, forests, pastures, fields, seas and lakes, as well as goods and bees, have disappeared and were replaced with dependency solely on monetary income, thus causing unprecedented poverty, inequality and painful displacements, the breakdown of social fabrics and an acute crisis of social reproduction.

„From this point of view, a stable, clean river is not considered productive. To become such, it must be “developed” with dams. Women who share the river as a common good are not involved in productive work. However, when we replace them with engineering men, the disposal and use of water will become productive. ...from the perspective of Third World women, productivity is measured by the reproduction of life and sustainability. Although such productivity has become invisible, its importance for survival has not diminished.” (Shiva, 1988).

Such development policies prevailing in developing countries since The 1980s and in Georgia since the 2000s, on the one hand, prioritize the speculative economy over the traditional “productive” economy and, on the other hand, only extract and consume vital resources in such a way that leaves the environment non-renewable and social life impoverished. Thus a system is created that causes social conflicts and irreversible environmental destruction while promoting a status quo in which the state bears minimal responsibility. This system facilitates the continuous absorption and outflow of local wealth without generating substantial benefits for the local or national economy but at the expense of their gradual destruction.

If Soviet energy was based on a planned industrial economy, its expansion and consequent consumption growth, Georgia’s new energy policy seems to be focused on quantitative growth of gross domestic product with large infrastructure projects. The motivation for developing HPPs in the Soviet

past, as well as the quality of construction and environmental and social standards, are radically different from the extractive practices of today’s global capitalist economy. The governments of independent Georgia employ the practice of passing over¹⁰ in permanent ownership riverbeds, valleys, lands, and forests at a symbolic price or completely for free to different foreign investors, including foreign companies building HPPs with conditions and cabal agreements that are detrimental to the state. The state also grants these investors the rights to extract and sell timber from these territories. Once the power plants are installed, they are completely left to foreign companies, who have the right to export all the electricity produced from the country. Through these practices, the state limits access to and control over natural resources and the benefits arising from their extraction. Therefore, from this point of view, the object of criticism is not the extraction of resources itself but rather the control and consumption of these resources and their benefits by transnational companies, just as in the case of traditional extractivism. (Acosta, 2013).

If water, as a natural resource that creates life, connections, cultures, and civilization - is considered part of the new extractivist regime established in Georgia, it becomes evident that the plan for unlimited utilization of water and the electricity obtained from it is an unjust energy policy of resource disposal and redistribution, which, in collaboration with heavy and other industries, harms the population and the country in many ways. It damages the natural environment, the ecosystems within it, the ancient cultural heritage sites, and the indigenous cultures. It also causes the displacement of local populations, irreparable damage to their living environment, destruction of homes, soil erosion, flooding, increased humidity, and climate change. It prevents agricultural production, degradation of existing infrastructure, and other types of impacts, including strongly expressed gender impacts. The social repercussions are indivisible from environmental impact as the life and culture of people in valleys, villages, and regions are linked with landscape, hydrological, and climatic conditions. Even in the case of small hydropower plants, the impact on river ecosystems has significant social consequences for rural populations that have relied on rivers for generations.

10 Social Justice Center. Assessment of Namakhvani HPP Agreement, 2011

The social costs of the extractive operation on the water for the purpose of exporting electricity, on the one hand, are comparable to and repeat the results of the extraction of natural resources, and on the other hand, they give rise to a completely new type of social and legal crises - in addition to the issue of the rights to live in a safe environment or access to drinking water, by creating new social groups of eco-migrants and the poor, which no longer belong to the Traditional Class stratification of middle and lower classes.

A clear example of such negative impacts is the case of the 187 MW cascade of Shuakhevi HPP built in recent years in the mountainous Adjara region of Georgia. In 2013, the Norwegian company "Clean Energy" started the construction of Shuakhevi HPP in the landslide-prone zone with a loan from the European Bank for Reconstruction and Development. However, the company abandoned the project before the commissioning of the HPP due to the collapse of the 17-kilometer tunnel that was hastily dug and blasted under nearby villages in the mountainous Adjara without proper research.¹¹ The construction caused irreversible damage to residential houses, activated landslide processes, and created potential disaster areas. Families living above the tunnel continue to fear natural disasters, especially during worsening weather conditions. While the municipality warns these families to leave the area during such times, it does not provide them with any, even temporarily, shelter. The state considers these problems natural disasters rather than a direct result of the company's activities. Moreover, the new company does not see itself bound by the obligations stipulated in the memorandum. In addition, since no inventory was conducted in the mentioned areas before the construction, people cannot prove that it was the construction of the HPP tunnel that caused irreversible damage to their houses, yards, and environment.

The company only included the villages directly adjacent to the HPP infrastructure in the project area of direct impact, not those above the tunnel, thus, it is no longer responsible for social compensation. The state only offers compensation to eco-migrants, a completely inadequate, measly

¹¹ During the initiation of the "Shuakhevi HPP" Project, Tariel Tuskia, the head of the Department of Environment Protection and Natural Resources of the Autonomous Republic of Adjara, pointed out that no Environmental Impact Assessment (EIA) study was conducted concerning the tunnel. Tuskia also drew attention to a past landslide that resulted in 24 fatalities in April 1989, close to the proposed construction site. He warned that building the dam and reservoir would exacerbate the existing geological situation and lead to significant natural disasters. It is worth noting that Tuskia resigned from his position shortly after raising these concerns.



Shuakhevi HPP and the village in the landslide-hazardous zone, Shuakhevi, Makhakidzevi village. "According to the residents of the village, the administration of Shuakhevi municipality attached one of the boulders to a tree with ropes"; "Liberali" publication. © Sopo Aptsauri/Natia Amiranashvili

შუახევის პერი და სოფელი მეწყერსაშიშ ზონაში, შუახევი, სოფელი მახალავიძეების „სოფლის მცხოვრებლების თქმით, შუახევის მეწყერალიტეტის გამგებაშ ერთ-ერთი ლოდი ტრისებით ხეს მიამაგრა”; გამოცემა „ლიბერალი“. © სოფო აფციაური/ნათია ამირანაშვილი



amount for changing one's residence. In one instance, the local municipality even attached boulders to trees in the village of "Makhalakidzebi" above the tunnel to prevent them from falling into the residential area, damaging the houses, and threatening people's lives.

In 2021, during my research on migrant workers moving to Turkey from the Adjara region, I had the opportunity to meet the residents of "Dream City", a large informal settlement of homeless people on the outskirts of Batumi. A significant number of families in this settlement had migrated from mountainous Adjara after the construction of the hydroelectric power plant as "eco-migrants". The tunnel's construction had damaged their houses, agricultural production had become impossible due to soil erosion, and the threat of direct disaster had left these families homeless, unemployed, and living illegally in the settlement. This event is a clear example of the cycle of impoverishment and downward social mobility that large infrastructures can lead to in countries like Georgia. Families living in small, makeshift structures from concrete blocks in the "City of Dreams" support themselves through hard and often atypical work. They have become victims of double expulsion and double migration - forced to leave their living environment and cross the Turkish border daily or for extended periods to trade, pick tea, and nuts in harsh working conditions, where women and minors also participate or work as caretakers - long-term migrants at best.

The negative impacts of the Shuakhevi HPP are not limited to the damage of residential houses, falling of stones, landslide processes, and impoverishment of people. The construction of the tunnel has also caused historical springs to dry up in many villages of mountainous Adjara; consequently, the drinking water dried up, which in its turn, continues to cause significant domestic and other problems for families left in the "water-rich" mountainous Adjara region. In 2017, during the completion of the construction of the HPP, it was discovered that the diversion tunnel was laid without a drainage system, resulting in the flow of various waters into it and its subsequent collapse, leading to a loss of 200 million out of the total investment of 400 million. The HPP was eventually able to begin operating in 2020, but it should be noted that shortly after the infrastructure was put into operation, problems with water leakage also arose.¹²

Notably, the adverse impacts of the Shuakhevi hydroelectric power plant (HPP) project not only resembles the consequences of natural resource

extraction in Georgia but also share similar responses from companies and the state. As a result, they generate similar social damages, which suggest that the industries exploiting hydro-resources and extracting mineral extraction industries form a unified extractive regime in Georgia. In the villages surrounding the town of Chiatura in the Imereti region, where manganese mining has been ongoing for over a century, land erosion and damage to residential homes have also occurred. Similarly to the situation in Adjara, the people of Chiatura cannot provide evidence that the damage to their houses was caused by the unregulated and intensive ore mining processes in recent years, while the company responsible for the mining operations refuses to take accountability¹³ and provide compensation. However, the state perceives this issue as a natural disaster. Chiatura and its surroundings are among the most susceptible areas to labor migration and are currently almost emptied (Aroshvili, 2020).

It is apparent that extractive infrastructures in developing countries, among them in Georgia, not only displace communities but also create a sense of social hopelessness. These industries create new groups of impoverished individuals, leading to the emergence of new armies of the poor, eco-migrants, and the homeless living in slums. This process disrupts the social fabric of local communities, causing families to disintegrate and create new, semi-urban illegal settlements. Labor relations in these areas are especially vulnerable to violence, exploitation, and border policing. Ultimately, The colonial or neocolonial history of extractivism shows that it has caused widespread poverty, economic crises, corruption, weakened institutions and democracy, the disruption of local communities, irreversible damage to the environment, destruction of cultural heritage sites, and human conflict. Discussions about mining processes' and hydropower infrastructure projects' positive and negative impacts often lead to conflicts and confrontations among residents. It is with these consequences that extractive operations erase life from the biosphere, soil, rivers, valleys, cultures, and relationships.

The drying up of drinking water and depletion of soil in Adjara shows that an attack on the water is an attack on life, for if water is the resource that makes all other resources productive and produces their life, therefore, attacking it drives out all manifestations of life - including humans and their relations.

12 Green Alternative (April 13, 2020). "Shuakhevi HPP begins operating, who is responsible for the damage caused to the population?"

13 Social Justice Center (November 1, 2022). "The conclusion of the State Commission does not guarantee decent housing for the residents of Itkhvisi village".

The issues of strategic resources, especially oppressive energy policy, frequently ignite nationalistic fervor (Allan, Lemaadel and Lakhal, 2022). This often results in the mobilization and activation of far-right forces and rhetoric, which in turn fractures environmental and grassroots movements, intensifies polarization, and fosters violence. Despite the opposition of local communities, the irreversible migration, natural disasters, and lack of social prospects caused by these policies deepen societal divisions and render self-determination all the more elusive.

However, the curse associated with natural resource wealth, or 'the resource curse', is not a predetermined destiny but rather a construct that can be altered and transformed, just as death is cursed by life. Therefore, before it is too late and before the global extractivism irreversibly depletes the renewal of life, we must return our resources to our people and use them not for capital accumulation but first of all for survival and then for the collective good and common interests - for life and social reproduction.

ექსტრაქტივისტული ოპერაცია წყალზე და მისი სოცია-ლური უკუეფექტები: შეტევა სიცოცხლეზე

„ყველაფერი ცოცხადია ცოცხადია თოვდი ჩომედიც წყარი იქცევა და კვერება ცოცხადია წყარი ჩომედიც მიწაში ჩადის ან ისევ ცაში ადის და კვერება ცოცხები აჩიან ადამიანები ჩომედიც კვერებიან იხეწებიან და იქცევიან მწარად ცოცხადია მიწა ჩომედიც კვერება სახეებად ხიდებად გზებად თავშესაფეხებად ცოცხები აჩიან მკვერები ჩომედიც აღას აჩიან ცოცხები ცოცხადია ყველა მსხვევები ყველა ნაჭირი ყველა სიგვა ცოცხადია თესლი ჩომედიც აღმოცენებები ხობდნს სახით გა ხობდნ ჩომედიც მოგვეცემა პუნის სახით ადამიანებს ჩომედიც ცოცხები ვაჰთ ჩვენი სახით სიკვდიდი გაწყვევდიდა სიცოცხებით“

დათო ბაჩაქაძე. ტბის სანაპიროს სიმდებითი, 2004.

შესავალი

ერთი შეხედვით, საქართველო არ არის ექსტრაქტივისტული ეკო-ნომიკა მისი კლასიკური გაერებით (დიაკონიძე, 2020). თუ ექსტრაქტი-ვისტული რეჟიმი განისაზღვრება რესურსების მოპოვებით - რაც, ერთი მხრივ, ქმნის ღირებულების წარმოქმნისა და დაგროვების მნიშვნელოვან საფუძველს, მეორე მხრივ კი ამ დაგროვების შედე-გად ზრდის გრძელვადიან, მდგრად ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეჟიმს (Gellert, 2010), საქართველოს ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მის პოსტსაბჭოთა, დეინდუსტრიალიზებულ კონტექსტში ვერ ჩაით-ვლება ასეთ რეჟიმად. თუმცა, მას გააჩნია მონოინდუსტრიული ქა-ლაქები, საიდანაც დვირფასი წიაღისეული უწყვეტად მოიპოვება და გლობალურ ბაზარზე გაედინება. ამ უკანასკნელის გამო, საქართვე-ლოს ექსტრაქტივისტულ ჩარჩოში მოაზრება, ძირითადად, მონოი-ნდუსტრიულ ქალაქებში სამთო-მომპოვებელი ინდუსტრიის არსებო-ბის ხარჯზე ხდება ხოლმე.

მაგრამ, თუ ექსტრაქტივიზმისა და ნეოექსტრაქტივიზმის განმარტე-ბებსა თუ პრაქტიკას უფრო სიღრმისეულად დაგავირდებით და „ექ-სტრაქტივისტული რეჟიმის“ კონვენციურ ჩარჩოს გავამდიდრებთ ექ-სტრაქტივისტული ლოგიკისა და ექსტრაქტივისტული ოპერაციების ცნებებით, რომლებიც პრაქტიკაში თანამედროვე, გლობალიზებული კაპიტალისტური ეკონომიკის სხვადასხვა შრეებშია ჩაშენებული; აღმოვაჩინთ, რომ ექსტრაქტივისტული რეჟიმებისთვის დამახასია-თებელი ძირითადი თავისებურებებით, რაც პრივატიზაციის, დერე-გულაციისა და მინიმალური გადასახადების პოლიტიკით გამოირ-

ჩევა - მათ შორის, ტრანსაციონალური კომპანიებისთვის ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური ათვისებისა და ქვეყნიდან გატანის შეუ-ზღუდავი უფლების მინიჭებით - საქართველოს ეკონომიკა უფრო და უფრო მეტად იმპორტებს ექსტრაქტივისტულ ლოგიკას, რაც, ამ შემ-თხვევაში, სცდება მონოინდუსტრიულ ქალაქებში წიაღისეულის მო-პოვებას და სხვა სექტორებში უფრო მასშტაბურად ვლინდება.

2023 წლის თებერვალში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გა-მართულ მსოფლიო მთავრობების სამიტზე, საქართველოს პრემიე-რ-მინისტრმა, ირაკლი დარიბაშვილმა მკაფიოდ და დამაკერებლად ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე და დაგეგმილი მსხვილი პროექტების შესახებ, რომლებმაც, მომავალში საქართველო მრავალგანზომი-ლებიან რეგიონულ ჰაბად უნდა აქციოს. იქამდე, 2022 წლის 19 თე-ბერვალს, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, სადაც მთელი მსოფლიოს ლიდერები რუსეთ-უკრაინას შორის უკიდურესად დაძა-ბული ურთიერთობის ფონზე უახლოეს დღეებში მოსალოდნელ სა-მხედრო მოქმედებებს განიხილავდნენ, დარიბაშვილი კომპანია FTX Crypto Derivatives Exchange-ს დამფუძნებელს და აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა, რათა მისთვის შეეთავაზებინა საქართველო, როგორც კრიპტოვალუტის წარმოებისა და საფონდო ბირჟის გაფა-რთოებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი და სტაბილური ბიზ-ნესგარემო. ამავე წლის ნოემბერში, პრემიერი შეხვდა მსოფლიოში უდიდესი კრიპტოვალუტის ბირჟის - Binance-ის დამფუძნებელს და ჩანგბენგ ჟაოსაც, სადაც ხაზი გაუსვა საქართველოს თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების ჰაბად ქცევის პოტენციალს.

რისამე ჰაბად ქცევის იდეა, რაც ძირითადად მსხვილი ინფრასტრუქ-ტულული, ლოგისტიკური ან ენერგეტიკული პროექტების დაპირებას გულისხმობს ხოლმე, საქართველოს უახლოესი ისტორიისთვის არც ახალია და არც მოულოდნელი. მეტიც, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმა-ციის პროცესში, რაც სწორედ ინდუსტრიული წარმოების ისტორიულ მინიმუმამდე შემცირებისა და იქამდე არსებული სიმდიდრის უმე-ტესი ნაწილის განადგურებას ან მიტაცებას დაეფუძნა (Christophe, 2007), მსგავსი პროექტები ქვეყნის ახალი ეკონომიკური აღმავლო-ბის ილუზიის შესაქმნელად გამოიყენება ხოლმე. ადგილობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტების მიერ მუდმივად წარმოე-ბადი რიტორიკის მიხედვით, მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე, სა-ქართველო, საუკეთესო შემთხვევაში, მონიშნულია ხოლმე, როგორც სატრანზიტო დერეფანი ან სადაც ინფრასტრუქტურებისა თუ იმგ-ვარი ეკონომიკური საქმიანობების ჰაბი, რომლებიც, თავის მხრივ, მკაცრად რეგულირებულია სხვა ქვეყნებში. ამგვარ პროექტებთან დაკავშირებული მოლოდინები და სულისკვეთება ხელს უშლის გა-



A 3-4 ton boulder broke off from the mountain, rolled down and took an oak tree. On its way, it broke in two parts and hit the Beridze family cowshed. This cowshed stands just a few meters from their family house; Makhalakidzebi village; "Shuakhevi - "Chronicle of HPP Foretold" 2019 © Green Alternative

3-4 ტონიანმა მთას მოწყვეტილმა ლოდმა გზად შემხვედრი მუხის ხე მოწყვიტა და თან ჩაიტანა, მერე თრად გადატყდა და ბერიძეების ბოსელს შეეკახა. ბოსელი მათი სახლიდან სულ რამდენიმე მეტრში დგას; სოფელი მახალავიძეები; „შუახევი - გამოცხადებული ჰესის ქრონიკა“ 2019 წელი © მწვანე ალტერნატივა



The wall of the Lakobadze family house cracked as a result of drilling and explosions of HPP construction, Ghurta village; "Shuakhevi - "Chronicle of HPP Foretold" 2019 © Green Alternative

ბურღვა-აფეთქებების შედეგად გაბზარული იაკობაძეების სახლის კედელი, სოფელი ღურტა; „შუახევი - გამოცხადებული ჰესის ქრონიკა“ 2019 წელი © მწვანე ალტერნატივა

ნვითარების ამ პოლიტიკის ეჭვევეშ დაყენებას. ის ეკონომიკური ზრდის ილუზიას, ძირითადად, ერთკერადი ინვესტიციების ხარჯზე ინარჩუნებს, რაც, ქვეყანაში გადანაწილების მექანიზმების არ არსებობისა და მძიმე სოციალური კრიზისის გათვალისწინებით, მხოლოდ კორპორაციულ ან კორუფციულ ზრდას ნიშნავს.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მთავრობების ცვლილების მიუხედავად სტრუქტურული ძარცვის ამ უცვლელ პოლიტიკას დაგროვების სხვადასხვა ეტაპები აქვს, რომელთაგანაც მიმდინარედ სწორედ ინფრასტრუქტურაზე ორიენტირებული განვითარება (Infrastructure-led development) და შედეგად, საარსებო გარემოების მაქსიმალური ათვისება შეგვიძლია დავასახელოთ, როგორც აწმყოში და მომავალ ათწლეულში დაგეგმილ ექსტრაქტივისტულ ოპერაციათა ჰაქვი. ამ ჰაქვის ერთ-ერთი უმსხვილესი რგოლი ჰიდრორესურსების ათვისებაა, როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და კაპიტალის დაგროვების მორიგი საშუალება, რომელმაც, პარალელურად, კრიპტომობრვების ზრდად ინდუსტრიასა და მისგან წარმოქმნილ ელექტროენერგიის მოხმარების მოსალოდნელ ზრდას უნდა უპასუხოს. ამ დაგროვების ერთ-ერთი ძირითადი სფერო ქვეყანაში დიდი რაოდენობით მსხვილი, საშუალო და მცირე ქესების მშენებლობაა ახალ გადამცემ ხაზებთან და ქვესადგურებთან ერთად. თუმცა, ეკონომიკური ზრდის ამ გზებით მიღწევის ეჭვევეშ დაყენება, ძირითადად, გეოპოლიტიკური შანტაჟის ძალაუფლებით ისჩება.

ენერგეტიკული სიმძლავრეების განვითარებისკენ მიმართული, ერთი შეხედვით უწყინარი გეგმა დაუსრულებელ კოშმარად მაშინ იქცევა, თუ ამ პროექტების მასშტაბებს, ხელშეკრულებებს, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის რეალურად საფრთხის შემცველ გარიგებებსა და მათში განხერილ ფისკალურ, გარემოსდაცვით თუ სოციალურ რისკებსა და უკუფექტებს ჩავხედავთ. უკვე განხორციელებული, განხორციელების პროცესში შეწყვეტილი თუ მომავალში დაგეგმილი ჰიდროსიმძლავრების პროექტების კომპლექსურ ანალიზზე, ამ პროექტებისადმი წინააღმდეგობის ისტორიასა და მასთან გამკლავების მექანიზმებზე¹ დაკვირვებით აღმოვაჩენთ, რომ თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, მისი მთავარი ფსონით ენერგეტიკის სექტორში და კერძოდ ჰიდროენერგეტიკაში,

1 ტერმინი ექსტრაქტივიზმი სწორედ ესპანურენოვან, ლათინო-ამერიკულ კონტექსტში წარმოშობილი ცნებაა, რომელიც ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გადინებისადმი ადგილობრივი ხალხების წინააღმდეგობრივ მიმართებასაც ეფუძნება (Gudynas, 2015)

წარმოგვიდგება სწორედ, როგორც სახელმწიფოსა და მოქალაქე-ებისთვის საზიანო და წამგებიანი გარიგებების, ლოკალური რესუ-რსების ველური ათვისებისა და ქვეყნიდან გადინების ცალსახად ანტიეროვნული სტრატეგია. ეს ნეოკოლონიური ძარცვის იმ პრაქტი-კებს მოვაკონებს, გლობალური სამხრეთის ქვეყნებმა კოლონიური მმართველობისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რომ გა-იარეს, როგორც მძიმე ექსტრაქტივისტული რეჟიმები. ამ რეჟიმების შედეგად, მათ სიდარიბის, სოციალური უთანასწორობის, მიგრაციე-ბის, მიწების ჩამორთმევისა და ეკოსისტემების განადგურების უკი-დურესი კრიზისი მიიღეს. მნიშვნელოვანია, რომ ეს რეჟიმები ახალ სიცოცხლეს იძნეს თანამედროვე, გლობალურ კაპიტალიზმი და მის ინტერვენციასთან ერთად ასევე ცოტა ხნის წინ დამოუკიდებლობა მიღებულ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, რომლებიც განვითარების მსგავს მოდელს ირჩევენ. გლობალური დაგროვების ეს ოპერაციები დღეს სიცოცხლის კვლავნარმოების ყველა არსებული ფორმის წინა-აღმდეგაა მიმართული და მუშაობს, როგორც სიკვდილის წარმოების ტექნოლოგიები (Sassen, 2014).

ძარცვა ენერგოდამოუკიდებლობის სახელით: გეოპო-ლიტიკური შანტაჟი და იმპორტ-ექსპორტის პარადოქსი

ექსტრაქტივიზმის შესახებ ლიტერატურაში არსებობს ტერმინები „რესურსების წყვეტა“ და „სიუხვის პარადოქსი“. ეს ტერმინები კრებს დაგროვილ გამოცდილებას, რომლის თანახმადაც ქვეყნებს, რომ-ლებიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით და ამ რესურსებზე დამო-კიდებული, კერძოდ ნედლეულისა თუ მისი პირველადი დამუშავების სახით ექსპორტით, უფრო მეტად უჭირთ განვითარება. ამ პარადოქ-სის მიხედვით, რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, განსაკუთრებით ერთი ან რამდენიმე კონკრეტული რესურსით, მით უფრო ღარიბია ის გრძე-ლვადიან პერსპექტივაში და მით უფრო დიდია მისი შიდა უთანასწო-რობები (Gudynas, 2009; Acosta, 2013).

წყლის რესურსის ათვისება ენერგეტიკული, საწარმოო, სოფლის მეურნეობის თუ სხვა ტიპის ინფრასტრუქტურისთვის, ერთი მხრივ, ისტორიულად გამართლებული და გარკვეული წილად, გარდაუვალი მოვლენაა, ვინაიდან წყალი, როგორც ბუნებრივ რესურსებს შორის ყველაზე ფუნდამენტური - ის, რაც სხვა რესურსების არსებობასა და განახლებას შესაძლებელს ხდის; ის, რის გარეშეც ყველაფერი ცოცხალი კვდება - არამხოლოდ ეკოსისტემებისა და ბუნებრივი გარემოს, არამედ მოდერნული ცივილიზაციისა და ეკონომიკის არ-სებითად შემადგენელი ნაწილია, რადგან მისი გამოყენება და მოხ-

მარება ბაზისურია როგორც სიცოცხლის ბიოლოგიური ციკლების, ისე საზოგადოების სოციალური კვლავწარმოებისთვის. ამიტომ, როგა ჩვენ ვცდილობთ, წყლის რესურსი ექსტრაქტივიზმის ჩარჩოში მო-ვაქციოთ, ამაში ვგულისხმობთ არა მისი ათვისების ზოგად ფორმას, რომელსაც ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებას შევადარებდით, არამედ კონკრეტულ ექსტრაქტივისტულ ოპერაციას - წყლის რესუ-რსის აგრესიულ ათვისებას არა ლოკალური, არამედ საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზრისთვის; არა სიცოცხლის ან სოციალური კვლა-ვწარმოებისთვის, არამედ მათთვის საფრთხის შექმნის ხარჯზე კაპი-ტალის დაგროვებისთვის.

საქართველოში ეს პოლიტიკა ეფუძნება მტკიცებას, რომ ქვეყანა მდიდარია წყლის რესურსით, რომლის სრულად ათვისების შემთხვე-ვაშიც ის არა მხოლოდ შიდა, ზრდად მოთხოვნას დაკმაყოფილებს ელექტროენერგიაზე, არამედ მას ექსპორტზე გაიტანს. მეორე მხრივ, ადგილობრივი მეცნიერები მიუთითებენ როგორც წყლის რესურსე-ბის უწყვეტ კლებაზე, ისე ამ რესურსის შესახებ განახლებადი მო-ნაცემების არ არსებობაზე.² თუ ამ არგუმენტებს მოვუსმენთ, ცხადი გახდება, რომ მდინარეების წყალუხვობა თუ მათზე ენერგობიერების დადგმის ტექნიკური პოტენციალი ქვეყანაში გაცილებით ნაკლე-ბია, ვიდრე ამას მთავრობის ენერგოპლატფორმები ან ჰესების ლო-ბისტები სახავენ, ხოლო თუ ამას დავუმატებთ ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრეების განვითარების რეალური, ეფექტური პოტენციალის გამოანგარიშების შესაძლებლობას, ეს გათვლები კიდევ უფრო შე-მცირდება.³

მნიშვნელოვანია ასევე, რომ საქართველო არის პატარა ტერიტო-რიის მქონე ქვეყანა, რომელშიც არ გვხვდება უზარმაზარი დაუსახლე-ბელი ან / და გეოლოგიურად მდგრადი ან სეისმურად არააქტიური ტე-რიტორიები, სადაც მსხვილი ობიექტების მშენებლობა იმგვარადაა

2 საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის შესახებ მონაცემები და წყლის ხარჯი, რომლის მიხედვითაც საქართველოს უახლეს ათწლეულებში უკვე დაიგეგმა, განხორციელდა, ან ახლა იგეგმება ჰიდროენერგობიერები, ეფუძნება გასული საჟუნის 70-80იანი წლების კვლევებს, რომლებიც, ამ პერიოდიდან ნახევარი საჟუნის გასვლის - კლიმატის ცვლილებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ჰიდროლოგიური ცვლილებების გათვალისწინებით - ალარ არის რელევანტური (ფიფია, 2019).

3 თანამედროვე ლიტერატურაში ჩნდება ჰიდროსიმძლავრის პოტენციალის გამოთვლის ახალი, კიდევ უფრო ზუსტი და კრიტიკული მეთოდოლოგიები, რომლებიც ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრის გარდა, ითვლის, ასევე, კულტურულ, ბიუროკრატიულ, სოციალურ, ლანდშაფტურ და სხვა ასპექტებაც, რითიც პროექტების განხორციელების რეალური - ეფექტური პოტენციალის დადგენა ხდება შესაძლებელი (Operacz, 2017).

შესაძლებელი, რომ მისი უკუეფექტები მხოლოდ გარემოზე უმნიშვნელო ზემოქმედებით ან სოციალური კომპენსაციის სტანდარტული პოლიტიკით შემოიფარგლოს. ასეთ პროექტებზე განხორციელებული კვლევების არასრული შემადგენლობის ან დაბალი ხარისხის გამო, სახელმწიფო ხშირად ითხოვს დამატებით კვლევებს, თუმცა, პარალელურად, მათ მიღებამდე გასცემს სამშენებლო ნებართვებსაც, რაც ადგილობრივი ორგანიზაციების შეფასებით, არღვევს კანონიერ სანებართვო პირობებს⁴ და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის⁵ საპროექტო არეალებში მოქცეულ გარემოსა და მიმდებარე ტერიტორიებზე დასახლებულ სოფლებს.

რიტორიკა, რომელიც ახალი ჰიდროენერგო ობიექტებისა და მათ-თვის საჭირო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობას ითვალისწინებს, დაფუძნებულია არგუმენტაციაზე, რომ ეკონომიკის ზრდასთან ერთად გაზრდილ ენერგომოხმარებას სჭირდება მეტი გენერაციის ობიექტი და ამ გზით, ჩვენ უნდა გავხდეთ ენერგოდამოუკიდებლობა საქართველოში თითქმის რელიგიურ ხარისხში აყვანილი ტერმინია, რომელიც აქტიურად გამოიყენება მთავრობისა და ენერგეტიკის დარგის ლოკალური ექსპერტების - ძირითადად ჰიდროსიმძლავრების დადგმის ადგილობრივი ლობისტების მიერ. თუმცა, ქვეყანაში არსებული გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, ეს ცნება ორმაგ სიცარიელეს შეიცავს: პირველი ისაა, რომ ჩვენ ყველაზე მეტად ენერგოდამოუკიდებლები სწორედ ელექტროენერგიის ნაწილში ვართ, რისი უმეტესობაც უკვე დადგმული ჰიდროსიმძლავრებიდან მოდის, ენერგიის საბოლოო მოხმარების სხვა სექტორებში კი, რომლებშიც იმპორტი უფრო მაღალია, ჰიდრორესურსები არ გამოგვადგება. მიუხედავად ამისა, რუსეთთან მიმართებაში, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 20% სამხედრო კონფლიქტების შედეგად აქვს ოკუპირებული, იმპორტის ჩანაცვლებაზე აპელირება მორალური შანტაჟის საფუძველს იძლევა.⁶ სწორედ ამას უკავშირდება ამ ცნება-

4 მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცესის შეფასება ნამახვანის ჰიდროელექტროსაფურების კასკადზე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021.

5 ლიბერალი, (21.11, 2016) „შუახევი ჰესი და სოფელი მეწყერსაშიშ ზონაში.“

6 ელექტროენერგიის იმპორტი ჩვენ მხოლოდ სეზონურად გვიჩვეს. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მოხმარებულ ელექტროენერგიაში რესერტიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის ნილი მხოლოდ 1.8% იყო.

იმპორტირებული ელექტროენერგია, ძირითადად, აბალანსებს სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაჩენილ მოთხოვნას კრიპტონარმოების შემზარები მასშტაბების გამო: თუ საქართველოში ელექტროენერგიის შიდა მოხმარება უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საშალოდ იზრდებოდა 4.2%-ით, მათ შორის - წინა წელთან შედარებით ის გაიზარდა 13.3%-ით, 2019 წელთან შედარებით კი 8%-



The village of Ghurta, the place where a landslide killed more than 20 people in 1971; "Shuakhevi - Chronicle of HPP Foretold" 2019 © Green Alternative

სოფელი ღურთა, ადგილი, სადაც 1971 წელს მეწყერმა 20-ზე მეტი ადამიანი შეიწირა; „შუახევი - გამოცხადებული ჰესის ქრონიკა“ 2019 წელი © მნვანე ალტერნატივა



A dry strip of forest in the village of Kinchauri, whose residents say that environmental changes are also affecting their crops; "Shuakhevi - Announced HPP Chronicle" 2019 © Green Alternative

ტყის გამხმარი ზოლი სოფელ ყინჩაურში, რომლის მოსახლეობის თქმითაც გარემოს ცვლილები მათ მოსავალზეც მოწმედებს; „შუახევი - გამოცხადებული ჰესის ქრონიკა“ 2019 წელი © მნვანე ალტერნატივა

სთან დაკავშირებული მეორე სიცარიელეც: სინამდვილეში, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოებისთვის რეალურ საშიშროებას რუსული კაპიტალის წილის ზრდა წარმოადგენს ქართულ ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში, რისი განკურძოების მონაწილეებიც, სხვადასხვა ეტაპზე, სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობები და ჰესების ლობისტები იყვნენ.

ადგილობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტები, რომლებიც თავად ასხვისებენ ენერგომატარებლებს რუსულ კაპიტალზე, დაუსაბუთებელი პროექტების განხორციელებისთვის ენერგოდამოუკიდებლობის ცნებას იყენებენ სოციალური კონტროლისთვის, შიდა პროცესების სამართავად და შიდა პრობლემებისგან ყურადღების გადატანის იარაღად, როგორც მუდმივად გარე აქტორებზე მიმართების, მათგან წამოსული საფრთხით მანიპულაციას. ამ გეოპოლიტიკური შანტაჟით, მთავრობა წარმატებით ახერხებს საეჭვო და ანტისახელმწიფოებრივი ენერგოპროექტების წინააღმდეგ მობილიზებული სახალხო მოძრაობებისა და ადგილობრივი მოსახლეობების მარგინალიზებას, რომლებსაც უსაფრთხოების ანგარიშებში თუ მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირების ყოველდღიური გამოსვლებისას მოიხსენიებს, როგორც რუსეთის აგენტებს ან პიბრიდულ ომში ჩართულ ძალებს, მეორე ხელით კი, ამ წინააღმდეგობის რეპრესიის პარალელურად, ასხვისებს, მაგალითად დედაქალაქის ელექტროენერგიის მიმწოდებელი ინფრასტრუქტურის უკანასკნელ წილს ან გასცემს ჰესების მშენებლობის ნებართვებს რუსულ სახელმწიფო კომპანიებსა და მათთან დაახლოებულ პირებზე.⁷

რაც შეეხება ეკონომიკის ზრდასთან ერთად გაზრდილ ენერგომობარებას, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოს არ გააჩნია ეკონომიკური განვითარების დეტალური გეგმა ან გრძელვადიანი სტრატეგია, რომელშიც დარგობრივად და სექტორულად იქნებოდა განერილი, თუ რომელი სექტორების სტიმულირება ან განვითარებაა დაგეგმილი ან მოსალოდნელი. ამის წაცვლად, ქაოსური, დერეგულირებული და დეინდუსტრიალიზებული ეკონომიკა, რომლის ზრდაშიც

ით, აფხაზეთისთვის მინოდებული ელექტროენერგია წინა წელთან შედარებით გაზრდილია 15,8%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 43,5%-ით. აღსანიშნავია, ასევე, რომ 2020 წელს აფხაზეთის რეგიონის მოხმარებამ გაუსწრო საქართველოს დედაქალაქის, თბილისის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიას.

7 თბილისის ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიის უკანასკნელი, 25%-იანი სახელმწიფო მფლობელობაში დარჩენილი წილი გასხვისდა 2020 წელს, რუსულ კომპანია „ინტერ რაოზე“, რომელიც დანარჩენ 75%-ს ფლობდა. 2023 წელს, ცნობილი გახდა, ასევე, რომ აღნიშნულ კომპანიასთან დაკავშირებულ პირებს მიერიქათ მდინარე ცხენისწყალზე საშუალო მოცულობის ჰესის მშენებლობის ნებართვა.

წარმოების სექტორს მინიმალური წვლილი აქვს, ელექტროენერგიის მოთხოვნის ზრდას დიდი ზრდილად კრიპტონარმოების აფეთქებით იწვევს, რისთვისაც ქვეყანაში განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები გვაქვს შექმნილი თავისუფალი ინდუსტრიული ზონებითა თუ მაღალმომართული რეგიონებში უფასო ელექტროენერგიით.

თუმცა, წყლის რესურსით სიმდიდრისა და პიდრორესურსების მაქსიმალური ათვისების გამართლების მცდელობები სცდება ეროვნული ენერგოპოლიტიკისა და ადგილობრივი ჰესების ლობისტების შიდა არგუმენტაციას, როდესაც ის ჩვენი ქვეყნისთვის „სიუხვის პარადოქსის“ მნიშვნელოვან საფრთხედ იქცევა - წყლის რესურსისა და მისგან მიღებული ელექტროენერგიის საექსპორტო საქონლად ქცევის გეგმით. აქ მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ, თუ როგორ პოზიციონირებს დღეს ქვეყანა ენერგიის საერთაშორისო ბაზარზე, რათა „რესურსების წყველის“ ცნება საქართველოს კონტექსტში სწორედ პიდრორესურსებთან კავშირში დავინახოთ. Visual Capitalist-ის ელექტროენერგიის უმსხვილესი წყაროების ახალ რუკებზე საქართველო მთლიანად მონიშნულია ლურჯი ფერით და წყლის სტრუქტურით, როგორც პიდრო. აღსანიშნავია, რომ რეგიონში ის ასე მონიშნული ერთადერთი ქვეყანაა გაზითა და ქვანახშირით მონიშნულ ქვეყნებს შორის.

წყლის რესურსის, როგორც ქვეყნის შედარებითი უპირატესობის მოაზრება ახალია და გარკვეულზოდად, წინააღმდეგობაშიც მოდის იქამდე გაბატონებულ არგუმენტთან, რომ მსხვილი, საშუალო და მცირე ჰესების მშენებლობა საჭიროა მხოლოდ შიდა, ზრდადი მოთხოვნის დაკამაყოფილებისთვის. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყების შემდეგ, რამაც გლობალურად ახალი ენერგოკრიზისი და მის გარშემო დებატები წარმოშვა, საქართველოში პიდრორესურსების მაქსიმალური ათვისების რიტორიკამ უფრო ამბიციური, მისი მონინააღმდეგებების სახელმწიფოს მტრებად გამოცხადებამ კი უფრო აგრესიული⁸ სახე მიიღო.

უნდა ითქვას, რომ ომის მიერ წარმოშობილ ენერგოკრიზისზე ევროკავშირის ერთ-ერთი პირველი პასუხი ახალი სტრატეგიული ტერიტორიების მოხაზვა იყო ენერგორესურსების მისაღებად, რომელთა შორისაც ერთ-ერთი სწორედ აზერბაიჯანიდან რუმინეთსა და უნგრეთში გამავალი მსხვილი წყალქვეშა ინფრასტრუქტურაა შავი ზღვის კაბელის სახით. ამ კაბელმა 1000 მგვტ ელექტროენერგია

8 რადიო თავისუფლება (22 თებერვალი 2023 წ) „კობახიძე: წამახვანპრეზიდენტი მშენებლობის საწინააღმდეგო აქციები რუსული და სხვა წყაროებით ფინანსდებოდა“.

პირდაპირ ევროპას უნდა მიაწოდოს საქართველოს გავლით. ამ პროექტის დაანონსების კვალდაკვალ, საქართველოში განვითარებას იწყებს ახალი რიტორიკა, რომ ჩვენ არამხოლოდ ენერგოდამოუკიდებლები, არამედ ენერგოექსპორტიორები უნდა გავხდეთ, რადგან სწორედ წყალია ის რესურსი, რაც ჩვენ არა მხოლოდ ახალი სატრანზიტო დერეფინის, არამედ ელექტროენერგიის ექსპორტიორი ქვეყნის ფუნქციას შევძებენს. თავისთავად ცხადია, რომ „საუკუნის პროექტად“ წოდებული ეს მორიგი ამბავი მნიშვნელოვანი იარაღი ხდება მთავრობის ხელში ამჟამად გაჩერებული პროექტების განახლებისათვის ახალი ობიექტების მშენებლობის დაწყებისთვის.

ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოექსპორტიორობის ერთი შეხედვით ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოსული ცნებები, ამ წინააღმდეგობრიობის მიუხედავად, პოლიტიკურ რიტორიკაში უკვე ეფექტურად თანაარსებობს ისევ გეოპოლიტიკური შანტაჟით - ევროპასთან ამ გზით დაახლოების დაპირების კუთხით. თუმცა, თუ ევროკავშირის პოლიტიკას გადავხედავთ კანდიდატობის სტატუსის მქონე ან კანდიდატობის სტატუსის მსურველ ქვეყნებთან, თვალსაჩინო გახდება, რომ მკაცრად რეგულირებული ჩარჩო-დირექტივების გამო, რომლებიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღარ უშვებს არათუ დიდი კაშხლების, არამედ მცირე ჰესების მშენებლობასაც კი, სწორედ ევროკავშირის პერიფერიებში ხორციელდება პიდრორესურსების მაქსიმალური ათვისების პოლიტიკა მისი ფინანსური ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობით, რომელსაც ხშირად რეპრესიული სახე აქვს და ნეოლიბერალური ავტორიტარიზმის ახალ ფორმებს იძენს (Piletić, 2023). საინტერესოა, რომ როგორც წიაღისეულის ექსტრაქტივიზმის შემთხვევაშია - განვითარებულ ქვეყნებში გარემოსდაცვაზე მზარდი აქცენტიც კი საკმარისი ხდება იმისთვის, რომ მთავარი დაწოლა მოხდეს დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე, დათმონ თავიანთი წიაღისეულის მარაგები და გახსნან თავიანთი ტერიტორია გლობალური ბაზრის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (Acosta, 2013) - სწორედ ასევე ხდება ზეწოლა შექმნილი ენერგოკრიზისების პარალელურად პერიფერიულ ქვეყნებზეც, გახსნან თავიანთი ტერიტორიები, როგორც სატრანზიტო თუ საექსპორტო დერეფნები და ისეთი მნიშვნელოვანი რესურსები, როგორიცაა წყალი - ჩააყენონ ნეოკოლონიალური ძარცვის სამსახურში გლობალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

⁹ მნიშვნელოვანია, რომ წყალგვერა კაბელის ინფრასტრუქტურამ უნდა გაიაროს ჩვენი ქვეყნის სახმელეთ ტერიტორიის დაახლოებით 95 კმ-ზე, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ტერიტორიაზე უმსხვილეს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს და მისგან მოსალოდნელ შედეგებს გულისხმობს გარემოსა და დასახლებულ მიერქებზე.

პიდრორესურსების ათვისების სოციალური უკუფექტები: შეტევა სიცოცხლეზე

სტატიის წანამძღვარში გამოტანილი ფრაგმენტი ქართველი მწერლისა და პოეტის, დათო ბარბაქაძის ლექსიდან, რომელიც სიცოცხლის ციკლების კვლავნარმოების ძალას აღნერს, მთავრდება აზრით, რომ სიკვდილი დაწყევლილია სიცოცხლით, რადგან სიცოცხლე სწორედ განახლების ძალის ფადოსნურობით თრგუნავს სიკვდილს, როცა სხვადასხვა სახით ბრუნდება. მაგრამ თანამედროვე ეკონომიკური და ტექნოლოგიური სისტემები, რომლებიც ექსტრაქციული ძალაუფლებით უფრო და უფრო მეტი სიცოცხლის ფორმას აქცევს არაგანახლებად პროცესად (Sassen, 2014), შეიძლება ითქვას, ემუქრება და კლავს სწორედ სიცოცხლის კვლავნარმოების მიერ სიკვდილზე გამარტვების ამ ბიოლოგიურ თუ სიმბოლურ ძალაუფლებას, ვინაიდან ექსტრაქტივისტული პროცესის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი სწორედ ისაა, რომ ის უფრო სწრაფად ამოიღებს რესურსებს, ვიდრე ისინი განახლდება. წყალი, რომელიც თავისთავად შემცირებადი რესურსია კლიმატის ცვლილების, დაბინძურების ზრდისა და მოთხოვნის ზრდის პარალელურად - არ არის ისეთივე ფიქსირებული, როგორიც წიაღისეულის მარაგებია. ამიტომ, წყლის რესურსის კლების მიუხედავად დაგეგმილი პიდრორესურსების ათვისების პროექტები უბრალოდ კარგი მაგალითი იქნებოდა წიაღისეულის ბუნებრივ განახლებაზე ექსტრაქტივისტულ შეტევასთან პარალელის გასავლებად, რომ არა კიდევ უფრო საგანგაშო გარემოებები, რომლებიც უკვე დამდგარ ზიანს ასახავს უკანასკნელ წლებში საქართველოში აშენებული ჰქონების საპროექტო არეალებში.

წინასწარდაშვება, რომ ბუნება არაპროდუქტიულია, ხოლო წარმოება მხოლოდ სრულდება, როცა გაშუალებულია ტექნოლოგიებით - მაშინაც კი, როცა გზად სიცოცხლეს ანადგურებს (Shiva, 1988) არის სწორედ ის დაშვება, რომელმაც საბოლოოდ სიკვდილის მარამოებელი ეკონომიკური და ტექნოლოგიური სისტემები შექმნა. ასეთი სისტემის მიერ ყოველდღიურად წარმოებული სისასტიკეები მძიმე ექსპლუატაციის, ძალადობისა და თანამედროვე მონობის პრაქტიკებთან ერთად, განდევნების მთელ კასკადს მოიცავს: ადამიანების განდევნას კეთილდღეობის საბაზისო სისტემებიდან, დასაქმებისა და საზოგადოებრივი აქტიურობის სფეროებიდან, სასიცოცხლო გარემოებიდან, საკუთარი სოფლებიდან, ქალაქებიდან, ქვეყნებიდან (Sassen, 2014). განდევნების ეს ციკლები, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ახალია, ეფუძნება სწორედ ამ წინასწარდაშვებას, რომელმაც, თავის დროზე, საბოლოოდ მოკლა თვითუზრუნველყოფის ეკონომიკები და ჩაანაცვლა ისინი საბაზისო ურთიერთობებით; გააქრო მიწებზე, მდი-

ნარეებზე, ტყეებზე, საძოვრებზე, მინდვრებზე, ზღვებსა და ტბებზე, საქონელსა და ფუტკრებზე დამოკიდებული მეურნეობები და ჩაანაცვლა ისინი მხოლოდ მონეტარულ შემოსავალზე დამოკიდებულებით, რითაც უპრეცედენტო სიღარიბე, უთანასწორობა და მტკიცნეული ადგილმონაცვლეობები, სოციალური ქსოვილების რღვევა და კვლა-ვწარმოების მწვავე კრიზისი გამოიწვია.

„ამ გაღმოსახედიდან, სგაბიღუები, სუფთა მდინარე, ას ახის პერიექტი-უდი. ასეთად ჩომ იქცეს, ის უნდა „განვითარებეს“ კაშხებით. ქადები, ჩომებიც მდინარეს ისე იზიარებენ, ჩოგოჩ საეთო სიკეთეს, ას ახიან პერიექტიუდ შემძაში ჩახთული. თუმცა, ჩოგა მათ ინუინები კაცებით ჩავანაცვლებთ, წყდის განკარგვა და გამოყენება პერიექტიუდი გახდება. ...მესამე სამყაროს ქადების გაღმოსახედიდან, პერიექტიუდობა ცხოვე-ბის და მგზავრის კვდავწარმოების მიხედვით იზომება. მიუხედავად იმისა, ჩომ ამგვარი პერიექტიუდობა უხიდავი გახდა, გადაჩენისთვის მისი მნიშვნელობა ას შემცირებულა“ (შივა, 1988).

1980-იანი წლებიდან განვითარებად ქვეყნებში, 2000-იანებიდან კი საქართველოში გაბატონებული ამგვარი განვითარების პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, ტრადიციული, „პროდუქტიული“ ეკონომიკის ნაცვლად, ახდენს სპეცუალისტური ეკონომიკის პრიორიტეტიზაციას, მეორე მხრივ კი მხოლოდ ამოიღებს და მოიხმარს სასიცოცხლო რე-სურსებს ისე, რომ გარემოს განუახლებელს, მოსახლეობებს კი გა-დატაცებულს ტოვებს - ემნის სისტემას, რომელიც იწვევს სოციალური კონფლიქტების წარმოებას და გარემოს შეუქცევად განადგურებას. თუმცა, ამავდროულად ის ასაზრდოებს სახელმწიფოს მინიმალური პასუხისმგებლობის სტატუს-კვოსაც, რის მეშვეობითაც ლოკალური სიმდიდრის ათვისება და გადინება უწყვეტი და შეუქცევადი პრო-ცესი ხდება - არა მხოლოდ მუნიციპალურ თუ ეროვნულ ეკონომიკაში ყოველგვარი არსებითი სარგებლის დატოვების გარეშე, არამედ სწორედ მათი განადგურების ხარჯზე.

თუ საბჭოთა ენერგეტიკა ეყრდნობოდა გეგმიურ ინდუსტრიულ ეკო-ნომიკას და მისი ზრდის შედეგად მოხმარების ზრდას, საქართვე-ლოს ახალი ენერგოპოლიტიკა თითქოს მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობრივ ზრდაზეა ორიენტირებული მსხვილი ინფრასტრუქტუ-რული პროექტებით. საბჭოთა წარსულში პესების განვითარების მო-ტივაცია, ისევე, როგორც მშენებლობის ხარისხი და გარემოსდაცვითი თუ სოციალური სტანდარტები რადიკალურად განსხვავდება დღე-ვანდელი, გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკის ექსტრაქტი-ვისტული პრაქტიკისაგან. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრო-ბები, სახელმწიფოსთვის წამგებიანი პირობებითა და კაბალური

ხელშეკრულებებით, იყენებენ სხვადასხვა ინვესტორებისთვის, მათ შორის პესების მშენებელი უცხოური კომპანიებისთვის მდინარეების კალაპოტების, ხეობების, მიწებისა და ტყების სამუდამოდ გადაცე-ბის პრაქტიკას¹⁰ სიმბოლურ ფასად ან უფასოდ, ხშირად ამ ტერიტო-რიებზე სავარაუდო წიაღისებისა და ხე-ტყის ჭრისა თუ რეალიზაციის უფლებებთან ერთად; ჩვენს მინაზე დადგმული ენე-რგეტიკული სიმძლავრეები კი გარკვეული დროის შემდეგ მთლია-ნად რჩება უცხოურ კომპანიებს, რომლებსაც უფლება აქვთ, სრულად გაიტანონ ქვეყნიდან წარმოებული ელექტროენერგია. ამ ტიპის მნი-რაციებით, სახელმწიფო იზღუდავს ხელმისაწვდომობასა და კონტ-როლს ბუნებრივ რესურსებზე თუ მათი მოპოვების შედეგად წარმოქ-მნილ სარგებელზე. შესაბამისად, ამ პერსპექტივიდან, კრიტიკის ობიექტი არა თავად წყლის, როგორც რესურსის მოპოვებაა, არამედ, როგორც ბუნებრივი წიაღისებულის ექსტრაქციის შემთხვევაშია, ამ რესურსისა და მისგან სარგებლის ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ მოხმარება და კონტროლი (Acosta, 2013).

უნდა ითქვას, რომ საქართველოს შიდა ელექტროენერგეტიკული საჭიროებების დაახლოებით 80%-ს ქვეყანაში არსებული პიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ენერგია აკმაყოფილებს (Antadze and Gujaraidze 2021). პიდროენერგიის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი ქვეყანაში საბჭოთა პერიოდში აშენებული ენერგიის პიდროელექტროსადგურების კასკადია, რომელიც მდებარეობს მდინარე ენგურზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს მხარე გამოირჩევა საქართველოში უპრეცედენტო კრიპტონარმოებით. ამასთან, ამავე მხარეში იგეგმება ერთ-ერთი მსხვილი პიდროლექტროსადგურის, „ხედონჰესის“ მშენებლობაც, რის მიმართ წინააღმდეგობის ისტორიაც ჰქონ კიდევ 1980-იანი წლების მეორე წარმატებიდან იწყება.

საქართველოში პიდროელექტროსადგურების მშენებლობით ენერგეტიკის განვითარება სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხედვაა² (გვრიტიშვილი, გერლიანი და ერისთავი 2019). ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის გარშემო არსებული დისკუსიები, დავები, წინააღმდეგობები საქართველოს უახლესი თუ მიმდინარე ისტორიის კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია. ნიშანდობლივია, რომ სათემო დაფიცება სვანეთის რეგიონში, რასაც ქვემოთ დეტალურად შევეხებით, 2013 წელს, სწორედ „ხედონჰესის“ მშენებლობისადმი ადგილობრივი წინააღმდეგობის განმტკიცებას ემსახურებოდა, რამაც პროექტი დროებით შეაჩირა. ამის შემდეგ, ასეთი მასშტაბური - უფრო ზუსტად კი მედიასა თუ ფართო საზოგადოებაში გახმაურებული და მაშასადამე, პოლიტიკური დაფიცება ადგილობრივი მოსახლეობისგან უკვე 2021 წელს, კრიპტომოპოვების წინააღმდეგ ვიხილეთ.

საქართველოში კრიპტომოპოვებისთვის განსაკუთრებულად მოგებიან ადგილად ზემო სვანეთი იქცა, სადაც ელექტროენერგიის მოხმარება არაკომერციული საქმიანობისთვის სახელმწიფოს მიერაა სუბსიდირებული, ცივი კლიმატის გამო კი „მაინერის“ გაგრილების სისტემის უზრუნველყოფა ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ზემო სვანეთი, კრიპტოვალუტის წარმოების ძალზე მაღალი აქტივობით გამოირჩევა (ენერგო-პროკორწია 2022). შედეგად, ელექტროენერგიის გაზრდილ მოხმარებას ადგილობრივმა ელექტროგადამცემმა ინფრასტრუქტურამ ვერ გაუძლო და გახშირდა ელექტროენერგიის ავარიული გათიშვის შემთვევები, რაც აღტერზატიული ენერგიის არარსებობისა და მკაცრი

1 https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-elektroenergetikis-sektori-2010-2022-clebsi?fbclid=IwAR3-GWS2Lc-f15N9I5zZGEyCRC_cF48ZitiGf6Ik7URcHqnTwIyCXXh4I

2 მხოლოდ ზემო სვანეთში დაწყებულია და იგეგმება დაახლოებით 35 პიდროლექტროსადგურის მშენებლობა (Ibid.).

კლიმატური პირობების ფონზე, ადგილობრივი მოსახლეობისა და ლოკალური ტურისტული ბიზნესისთვის განსაკუთრებით მწვავე პრობლემად იქცა. ელექტროენერგიის რადიკალურად გაზრდილი მოხმარება და შედეგად, ელექტროგაუგანილობის ხშირი დაზიანება დღემდე საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ელექტრომომარაგებას; უშაალოდ კრიპტომოპოვების საკითხის გადაწყვეტის გარშემო არსებული ბუნდოვანება კი, რომელსაც ქვემოთ შევეხებით, საფრთხეს უქმნის ზემო სვანეთის სოციალურ ქსოვილს, ფართო სოციალური ნდობის მექანიზმებს და ადგილობრივი ყოფის სუვერენული ფორმები: ადგილობრივი ნორმები, სოციალური პრაქტიკები, ტრადიციული სამართალი და სხვა - კრიზისში შეჰქავს.

ადგილობრივ კონტექსტში სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა შედეგით გამოხატული კრიპტონარმოება, მისი ეკონომიკური, ენერგეტიკული, სოციალური, სათემო თუ ეთნოგრაფიული განზომილებითა და თანმხლები პროცესებით არა მხოლოდ ლოკალურ ან ეროვნულ კონტექსტზე, არამედ გლობალურ პროცესებზეც გვაფიქრებს, მათ შორის თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ტრადიციული ინფრასტრუქტურის შეხვედრის როლზე, მათ შორის შესაძლო წინააღმდეგობაზე და კაპიტალის დაგროვების ახალ ფორმებზე, რომლებიც ტრადიციული ნარმოების ფორმებისგან განსხვავებულ პრაქტიკას ქმნის და სხვადასხვა, ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე ახალ კონფლიქტებს, უნდობლობებს, ბუნდოვანებებსა თუ დილემებს ნარმოშობს.

სწორედ ასეთი ნარმოების ფორმაა კრიპტომოპოვება, რომელიც გლობალური დაგროვების სხვადასხვა მექანიზმებით ხორციელდება და დაგროვების წყაროდ იქცევა, თუმცა, არ შემოიფარგლება ნარმოების ტრადიციული შედეგებით - ქმნის პროდუქტს, რომელიც არ შესაბამება იქამდე არსებულ სასაქონლე ფორმებს. ეფუძნება რა უკვე არსებულ ინფრასტრუქტურებს, როგორიცაა, ამ შემთხვევაში, არსებული ენერგონიფრასტრუქტურა - კრიპტონარმოება იქამდე არსებული ნარმოებისა და სასაქონლე ფორმების მოდიფიკაციის გარდა, პირობით რესურსად აქცევს დროსა და სივრცესაც, რითაც კაპიტალის დაგროვების აჩქარების ერთგვარ უტოპიას შესაძლებელს ხდის.

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს მიერ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეების განვითარებისა და კერძოდ პიდროენერგეტიკის წარმოების პრიოტეტიზაციაში ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ არსებული სამომხმარებლო თუ ეკონომიკური მოთხოვნის დაკმაყოფილებას, არამედ კრიპტოვალუტის მოპოვების პროცესში ჩართულ კაპიტალის მობილიზაციას და უკვე არსებული

მატერიალური ინფრასტრუქტურის სახეცვლილებას ახალი ინფრასტრუქტურების შექმნასთან ერთად. ეს ციფრული ინფრასტრუქტურაა, რომელიც მისი ინფრასტრუქტურული ფორმის ფარული მატერიალურობით მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ეფექტებს იწვევს.

როგორ ხდება კრიპტომოპოვება შესაძლებელი?

თანამედროვე ეკონომიკის ისტორიულმა, თვისებრივმა სახეცვლილებამ ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ, შესაძლებელი გახადა დაგროვების იმგვარი მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც, გარკვეულწილად, სახელმწიფოების ლეგალური ჩარჩოსა და ტერიტორიული საზღვრების მიღმა მოქმედებს. ეკონომიკური საქმიანობები, რომლებიც არ წარმოადგენს ტრადიციულ ნარმოებას - რომელთათვისაც ადგილმდებარეობა მხოლოდ პირობითია, უფრო და უფრო ნაკლებად ხდება წარმოების კლასიკური ფორმებისთვის თანმდევი მორალური ეკოლოგიებით შეზღუდული (Comaroff and Comaroff 2001). მსგავსი ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმაა დღეს კრიპტომოპოვება. ტრადიციული კრიპტოვალუტის შექმნის საფუძველმდებარე იდეა არსებული მონეტარული სისტემის მიმართ იდეერი უკამაყოფილება იყო, ხოლო გამოსავალი - მისი რადიკალური ტრანსფორმაცია, რაც ვალუტის ფუნქციონირებისას მონეტარული შუამავლობის ორმაგ რღვევაში ვლინდება. ეს ორმაგი რღვევა, ერთი მხრივ სახელმწიფოს, მეორე მხრივ კი ფინანსური ინსტიტუტების ფუნქციის რღვევას გულისხმობს, რაც ციფრული ვალუტის არამატერიალურობით და გაცვლის პროცესში ცენტრალური ძალაუფლების ორგანოების ავტორიზაციის საჭიროების გაუქმებით მიიღწევა (Swartz 2018; Dodd 2017).

არსებობს კრიპტოვალუტის მოპოვების ორი ძირითადი გზა: მათი რეალური ფულით შეძენა ან მათი ნარმოება - ე.წ. კრიპტომოპოვება, რაც სპეციფიკური კომპიუტერული მოწყობილობებით მათემატიკური ალგორითმების ამოხსნას გულისხმობს. კრიპტოვალუტის გამომუშავების გზა არის ე.წ. „მაინინგი“ - წარმოება, რაც გულისხმობს კომპიუტერული სისტემების მაღალი დატვირთვით მუშაობას. სისტემა სპეციფიკურ კომპიუტერულ ალგორითმებს ხსნის, რაც კრიპტონეტების მოპოვების საწინდარია. მეტი კრიპტომონეტის მოპოვება კომპიუტერული დანადგარის მაღალი დატვირთვით მუშაობის, შესაბამისად, მეტი ელექტროენერგიის მოხმარების პირდაპირპორციულია.



A hidden mining farm in the village of Lakhmala, Mestia Municipality, discovered by "ifact" - Investigative Journalist's Team © Ifact" - Investigative Journalist's Team; Screenshot from Youtube Video uploaded Sep 11, 2020, <https://ifact.ge/svaneti/> Lakhmala, Georgia.

დამალული კრიფტო-ფერმა სოფელ ლახამულაში, მესტიის მუნიციპალიტეტში, რომელიც გამომდებარებულ უკრნალისტების გერთიანებას „აიფაქტმ“ აღმარინა. კადრი YouTube-ზე ატვირთული რეპორტაჟიდან, 2020 წლის 11 სექტემბერი. © „აიფაქტმ“ - გამომძებელ უკრნალისტთა გერთიანება <https://ifact.ge/svaneti/>



The Enguri Dam is the world's second-highest concrete arch dam on the Enguri River. Tsalenjikha, Georgia
ენგურკესი მდინარე ენგურზე - მსოფლიოში მეორე ყველაზე მაღალი თაღოვანი კამხალი. წალენჯიხა, საქართველო

კრიპტონარმოების ტექნოლოგიური განვითარება შესაძლებელს ხდის, კომპიუტერული ტექნიკა ნებისმიერ ადგილას ჩაირთოს, ციფრული მონეტები კი რეალურ ვალუტად - შემოსავლის წყაროდ იქცეს. თუმცა, ერთი შეხედვით თვითვამარი და დამოუკიდებელი კრიპტოვალუტის წარმოება შეუძლებელია არსებული ინფრასტრუქტურის, კაპიტალის, რესურსების, ადგილობრივი ეკოსისტემის, ინსტიტუტების და სხვა სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორებისა და აქტორების თანამონაზილეობის, ათვისების, მოხმარების გარეშე. კრიპტოვალუტის ციფრული ინფრასტრუქტურა დამოკიდებელია კომპიუტერული ტექნიკის შექმნისთვის აუცილებელ ტრადიციულ მოპოვებაზე, ელექტროენერგიის მანარმოებელ და გადამცემ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე, ადგილობრივ საკანონმდებლო ნორმებზე, ელექტროენერგიის ტარიფზე, კლიმატურ პირობებზე და სხვა.

კრიპტონარმოება საქართველოში

2020 წლის იანვარში, საქართველოს რეგიონული ელექტროენერგიის მიმწოდებელმა ცენტრალურმა კომპანია „ენერგო-პრო-ტორჭიას“ დირექტორმა, მიხეილ ბოცვაძემ, 2019 წლის მუშაობის ანგარიშის წარდგენისას, შეშფოთება გამოთქვა ზემო სვანეთში ელექტროენერგიის მოხმარების კრიფტოული ზღვარის გადაჭარბების გამო. კომპანიის თქმით, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, ელექტროენერგიის მოხმარება მუნიციპალიტეტში თითქმის გასამმაგებული იყო. ბოცვაძემ ასევე განაცხადა, რომ 2019 წლის დეკემბერში ზემო სვანეთის მოხმარება გაუტოლდა იმავე პერიოდში საქართველოს სხვა 19 რაიონის საყიფაცხოვრებო მომხმარებლების მიერ მოხმარებულ ჰა-მურ ელექტროენერგიას.³ ზემო სვანეთში ელექტროენერგიის კრიტიკულად გაზრდილი მოხმარება საფრთხეს უქმნიდა რეგიონში არსებულ ენერგოსინართასტრუქტურას - გადამცემ ხაზებსა და ქვესადგურს გადატვირთვით ემუქრებოდა, რაც რეგიონს ელექტროენერგიის გარეშე დატოვებდა. მოხმარების ზრდის მიზებად, ენერგო-პრო-ტორჭიამ რეგიონში გაზრდილი კრიპტოვალუტის წარმოება დაასახელა და აღნიშნა, რომ ზემო სვანეთში საშუალო და მცირე კრიპტომოპოვების ფერმებია განლაგებული.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატური პირობებითა და სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული ელექტროენერგიით ზემო სვანეთი საქართველოში კრიპტონარმოებით ცნობილი რეგიონია, ქვეყანაში არსებობს გაცილებით მსხვილი ფერმებიც, მათ შორის, ყველაზე დიდი მოცუ-

3 ენერგო-პრო-ტორჭია, 2020.

ლობის კომპანია „ბიტფური“, რომელიც 2015 წლიდან ოპერირებს. მისი ფერმები განთავსებულია ქალაქ გორთან და გლდანში - თბილისის გარეუბანში. 2018 წელს, ამ კომპანიის მიერ მოხმარებულმა ელექტროენერგიამ მთლიანი ქვეყნის მოხმარების 3.2% შეადგინა. „ბიტფურის“ გარდა, ეგრეთნოდებულ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში, საქართველოს სხვადასხვა კუთხებში, ასევე განთავსებულია მსხვილი და საშუალო მოცულობის კრიპტომომპოვებელი ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ კრიპტომომპოვებას საქართველოს სახელმწიფო არ ზღუდავს - მეტიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის გამოირჩევა ამ ტიპის საქმიანობისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი პირობებით: გადასახადებისგან თავისუფლებით ან მინიმალური, მხოლოდ 18%-იანი დღგ-თი, რაც არ ეხება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში განთავსებულ ფერმებს.

კრიპტონარმოება რომ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორადაა მიჩნეული, ამას ადასტურებს მთავრობის ნარმომადგენლებისა და თავად პრემიერ-მინისტრ ირაკლი დარიბაშვილის მიერ არაერთხელ გაკეთებული ოფიციალური განცხადებაც იმის შესახებ, რომ საქართველო ამ მიმართულებით დამატებით უცხოელ ინვესტორებს ეძებს და რომ ქვეყანა უნდა გახდეს კრიპტოვალუტის გაცვლის რეგიონული ჰაბი.

ამ ტიპის ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ და მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგეგმილი დამატებითი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრეების მშენებლობა საქართველოს სახელმწიფოს გაცხადებული პრიორიტეტია, რასაც ის ენერგოდამოუკიდებლობისა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების პოპულისტური რიტორიკით ნიღბავს - მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად, 2020 წელს, საქართველოს ენერგოდეფიციტის 78% კრიპტონარმოებამ შეადგინა.⁵ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კრიპტონარმოება წახალისებულია და ასევე, ახალი ჰიდროენერგეტიკული პროექტები მთელი ქვეყნის მასშტაბითა დაგეგმილი, ზემო სვანეთი - მისი რამდენიმე ძირითადი მახასიათებლის გამო - ერთი მხრივ, კრიპტონარმოებისთვის სასარგებლო - უფასო ელექტროენერგიისა და „მაინერების“ გაგრილებისთვის ხელსაყრელი კლიმატური ჰიდროების, მეორე მხრივ კი ამავე რეგიონში დაგეგმილი ორი დამატებითი მსხვილი ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრის - „ხუდონჰესისა“ და ნენსკრა ჰესის გამო განსაკუთრებით თვალსაჩინო და საინტერესო მაგალითია როგორც ამ ტიპის ეკონომიკური განვითა-



A view of Svan Towers (a UNESCO World Heritage Site) in Ushguli, an alpine village in upper Svaneti - named as one of the highest continuously inhabited settlements in Europe until 2014. Ushguli, Georgia.

სვანეთი კომპანიი (UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი), უშგული - 2014 წლამდე ევროპის ყველაზე მაღალ დასახლებად მოსხენებული აღმური სოფელი ზემო სვანეთში. უშგული, საქართველო.



Villagers of Kaisi meeting international experts to protest the planned Khudoni hydropower dam that would flood their village, April 6, 2013. Kaisi, Georgia.

ხაიშელები საერთაშორისო ქასპერტებთან შეხვედრაზე აპრილესტებენ დაეგმილ ხედონებს, რომელიც მათ სოფელს დატბორვით ემუქრება. 6 აპრილი, 2013. ხაიში, საქართველო

4 რადიო თავისუფლება, 2022

5 Commersant, 2021.

რებით რეგიონის დაზიანების, ისე პესებისა და კრიპტომოპოვების პრაქტიკისადმი ადგილობრივი წინააღმდეგობის განსაკუთრებული ფორმებით.

კრიპტონარმოების შედეგები ზემო სვანეთში

საშუალო და მცირე ფერმების გარდა, კრიპტონარმოება ზემო სვანეთში ადგილობრივი საშუალო და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისათვისაც იქცა კეთილდღეობის შექმნის არა მხოლოდ მექანიზმად, არამედ გარანტიადაც კი. მასიური მოპოვება რეგიონში დაახლოებით 2018 წლიდან იწყება და განსაკუთრებით მასშტაბური კორონავირუსისგან გამოწვეული პანდემიის დროს ხდება, როდესაც ციფრული ვალუტის - ბიტკოინის ფასი თავის ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს.⁶ ტურისტული ბიზნესის გარდა, რაც ძირითადად ზემო სვანეთის რეგიონულ ცენტრში, მესტიასა და უშგულშია კონცენტრირებული, სვანეთში მოსახლეობისთვის შემოსავლის წყაროს შოვნა ძალიან როტულია. არატურისტულ არეალებში შემოსავლის ძირითადი წყარო მესაქონლეობა და სოფლის მეურნეობაა, რომელიც, თავის მხრივ, არ არის სათანადო განვითარებული. კორონავირუსისგან გამოწვეული პანდემიის შედეგად გაჩერებულ სასტუმრო თუ კვებით ობიექტებს აღარ სჭირდებოდათ პროდუქციის შეძენა, რამაც არატურისტული სოფლების ეკონომიკური მდგრამარეობა გაართულა. ამგარად, რეგიონში კრიპტომოპოვებას ადამიანები დღემდე იმ იმედით იწყებენ, რომ ციფრული ვალუტის გაცვლა უფრო და უფრო მომგებიანი გახდება. ამ მოლოდინით ისინი ისეთ ხანგრძლივ და რისკიან გათვლებასაც კი აკეთებენ, როგორიცაა, მაგალითად, კრიპტომოპოვებისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობების სასესხო ვალდებულებებით შეძენა ან საკუთარ ტერიტორიაზე, ქირის სანაცვლოდ ე.წ. კრიპტო ფერმების მოწყობაზე დათანხმება. ნიშანდობლივია, რომ ადგილობრივები, ძირითადად, არ ამჟღავნებენ კრიპტომოპოვებაში ჩართულობას და/ან დემონსტრაციულად არ მოიხმარენ მისგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს.

ფართო განხილვისა თუ მორალური ბუნდოვანების საგანი კრიპტონარმოება მას შემდეგ ხდება, რაც ელექტროენერგიის გახშირებული გათიშვის შემდეგ, ადგილობრივების ხმა ვრცელდება, რომ ელექტროგაყვანილობის ავარიული დაზიანებების მიზეზი მასშტაბური კრიპტომოპოვებაა. ერთ-ერთი მაცხოვრებლის აღწერით, ელექტროენერგიის ერთ ღამეში 15-ჯერ გათიშვა ფსიქოლოგიურ ტერორსაც კი

ჰგავს, თუმცა, ხაზების გადატვირთვის გამო ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, 2023 წლის ზამთრის ჩათვლით, ხშირად რამდენიმე დღის განმავლობაშიც გაგრძელებულა. კრიპტომოპოვების გამო რეგიონის ენერგონიფრასტრუქტურის დაზიანება მოსახლეობისთვის საყოველთაო, ხელშესახებ პრობლემად და წნეხად იქცევა, რაც ურთიერდაპირისპირების კერებს, ეჭვისა და ბუნდოვანების აფექტებს წარმოქმნის და თემში საერთო უნდობლობის გაჩენას იწვევს.

არსებულ მორალურ ბუნდოვანებას ამძაფრებს ადგილობრივების რწმენაც, რომ კრიპტომოპოვება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა თუ სხვადასხვა გავლენიანი აქტორის ხელდასხმითა და თანამონანილეობით ხდება შესაძლებელი. როგორც ირკვევა, ეს აქტორები ხშირად თავადაც არიან დაკავებული აღნიშნული ქმედებით, რაც დამატებითი ფაქტორია იმის გასაგებად, თუ რატომ არ სურდათ/სურთ მოპოვებით დაკავებულ ადამიანებს საკუთარი აქტივობის გამუდავნება. მაგალითად, რამდენიმე „მაინერი“ საყოფაცხოვრებო მოხმარებაზე გაცილებით მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს და, შესაბამისად, დამატებითი ან უფრო მძლავრი ელექტროგაყვანილობა სჭირდება, რაც, რესპონდენტთა აზრით, შეუძლებელია ელექტროენერგიის დისტრიბუტორი კომპანიის - „ენერგო-პრო ჭიათურას“ ჩარევის გარეშე.

კრიპტოვალუტის წარმოებასთან დაკავშირებული მორალური კრიზისი ზემო სვანეთში სივრცულადაც გამოიხატება - მოპოვების ტექნიკა, ძირითადად, თვალისთვის შეუმჩნეველ ადგილზეა განთავსებული. პრობლემის მასშტაბს მნიშვნელოვნად ზრდის არადგილობრივების მიერ ზემო სვანეთში გაჩაღებული კრიპტონარმოება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ზემო სვანეთში ხშირია შემთხვევები, როდესაც ე.წ. კრიპტო ფერმები დასახლებული პუნქტებისგან შორს, არაადგილობრივ პირებსაც აქვთ განთავსებული.

პრობლემის გადაწყვეტას, რაც ზემო სვანეთში კრიპტომოპოვების აღვევთას გულისხმობდა, მოსახლეობა თავდაპირველად ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციითა და არაფორმალური, ინტერესონალური ურთიერთობებით ცდილობდა. ისინი ერთმანეთს ინდივიდუალურ სარგებელზე უარის თქმასა და კოლექტიური პასუხისმგებლობის აღებას, ხოლო ხელისუფლებას - საკუთარი როლის შესრულებისკენ სთხოვდნენ. თუმცა, ადგილობრივი ხელისუფლება არა მხოლოდ უუნარო აღმოჩნდა, გადაეჭრა პრობლემა, არამედ მოსახლეობას მოუწოდებდა, მიეღოთ შესაბამისი ზომები და თავად გამოევლინათ ე.წ. „მაინერები“, რაც ადგილობრივებისთვის იმთავითვე

ცხადი, საზოგადოებრივი დაპირისპირების გაჩენისკენ მოწოდების ტოლფასი იყო. სწორედ ამას მოჰყვა ფიცის დადებაც, როგორც დარღვეული ნდობის აღდგენის რიტუალის განხორციელება.

სახალხო სამართალი

„დღემდე ყველას ეპატიოს, ხოლო დღეიდან, ვინც მაინერი არ გამორთოს, წმინდა გიორგი გაუწყრეს“ - ამ სიტყვებით, 2021 წლის 30 დეკემბერს, მესტიის თემი რეგიონში კრიპტონარმოების აღმოფხვრის მიზნით სვანების ტრადიციულ, თუმცა მათ მსოფლაღქმაში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში გამოყენებად ხატე დაფიცების რიტუალს ასრულებს. ხატე დაფიცება სვანური ტრადიციული სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელსაც ისტორიულ ზემო სვანეთში, ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში, მრავალმხრივი სოციალური ფუნქცია გააჩნდა (Voell 2013). ერთობის ფიცი, რომელიც ერთ-ერთია სვანეთში გავრცელებული დაფიცების სახეობათაგან, ამჟერად კრიპტონარმოების შეჩერების მიზნით განხორციელდა. ისტორიულად „თავისუფალ სვანეთში“ განსაკუთრებული კოლექტიური ქმედების საჭიროებისას, წმინდა ღვთაების გამოსახულების წინაშე ფიცით მტკიცდებოდა, როგორიცაა საბრძოლო არმიის მობილიზება ან სხვადასხვა ხევის ალიანსის შექმნა (Ibid.). ხატის წინაშე წარმოთქმული ფიცი ღმერთის წინაშე წათქვამთან იგივდება. სვანების მსოფლაღქმაში ფიცის გამტეხს ან მის შთამომავლებს დროსა და სივრცეში განუსაზღვრელი ღვთაებრივი სასკალი ელით.

სვანების, როგორც მკვიდრი ადგილობრივი მოსახლეობისა და გილთან მიკუთვნებულობა მათი ქმედებების, აფექტებისა თუ აღქმების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია. ადგილობრივებს ერთმანეთთან მჭიდრო წათესაური და ახლო ურთიერთობები აკავშირებთ. ადამიანურ კავშირებთან ერთად, ადგილობრივები შერწყმულნი არიან ბუნებრივ და ისტორიულ ლანდშაფტსა და არქიტექტურასთან, რაც მათი ადგილთან მიკუთვნებულობის განმსაზღვრელია. ავტონომიური სოციალური ჩამოყალიბების მიღმა, მკვიდრი მოსახლეობა კონფლიქტებისა და ძალაუფლების სისტემებთან განსხვავებული ხელმისაწვდომობის ისტორიული მეხსიერებით ვთარდება (Cadena and Starn 2007). ადგილთან ისტორიული და კულტურული მიკუთვნე-



Svan family home during winter blackouts in Hatsvali - popular among mountain tourists due to the ski resort. © Anna Kacheishvili, 2022. Hatsvali, Georgia.

სვანი ოქანის სახლი ზმთარში, უშექობისას. ჰასვალი სათხოლამურო კურორტის გამო პოპულარული ტურისტული ზონა. © ანა ყაჭეიშვილი, 2022. ჰასვალი, საქართველო

7 ზემო სვანეთის ერთი რეგიონი იწოდება ისტორიულ „თავისუფალ სვანეთად“ (თავისუფალ-უბატონ სვანეთი), სადაც არ არსებობდა ბატონყმური სისტემა და რომელმაც გვიან მე-19 საუკუნემდე შეინარჩუნა ავტონომიურობა საქართველოს სხვა სამთავროებისაგან (Ibid.).

ბულობით ნაწარმოები სოციალური პრაქტიკა და ტრადიცია გარე გა-
მოწვევებისგან ფიზიკური გარემოსა თუ კულტურული იდენტობის და-
ცვის მექანიზმებად იქცევა. ამ აზრით, ეს მექანიზმები ადგილობრივ
სუვერენულ ფორმებსაც წარმოადგენს, რომლებიც არ გულისხმობს
კოლოიტიკურ ავტონომიურობას, არამედ, უძველეს წარსულთან ასო-
ცირებული ნორმები და სოციალური პრაქტიკები ხელახლა „იქმნება“
აწყვი გამოწვევებისა და საჭიროებების მიხედვით და ეფექტური
კოლექტიური მობილიზაციის მექანიზმები ხდება. ამავდროულად,
სვანეთის რეგიონი, მისი ლანდშაფტი, არქიტექტურა, ინფრასტრუქ-
ტურა და პოლიტიკური თუ სოციალური ორგანიზების ფორმები მრა-
ვალი მოდერნულობის შედეგია. ადგილთან ისტორიული და კულტუ-
რული მიკუთვნებულობით ნაწარმოები სოციალური პრაქტიკები და
ტრადიციებიც სხვადასხვა მოდერნულობის გავლით ხდება აწყვი ამოქმედებული.

ქვემოთ ვნახავთ, რომ ვინაიდან კრიპტომოპოვების ინფრასტრუქ-
ტურა თავისი არსებობისთვის ემყარება უკვე არსებულ ინფრასტ-
რუქტურას და იყენებს/მოიხმარს მას ინდივიდუალური სარგებე-
ლისთვის, აზიანებს და საფრთხეს უქმნის ამ ინფრასტრუქტურის
დაპირებებსაც. ზემო სვანეთში კრიპტომოპოვების შედეგები აზია-
ნებს ელექტრონობას, რაც დაახლოებით გვიანდელი მე-19 საუკუნიდან
მოდერნულობის განცდის ერთგვარი საფუძველმდებარე მექანიზმია
(Boyer 2015, 532). საინტერესოა, თუ როგორ უვლის გვერდს კრიპტო-
მოპოვების ინფრასტრუქტურა თავისი, ინდივიდუალურ სარგებელზე
ორიენტირებული დაპირებით არსებულ სოციო-ეკონომიკურ რეჟიმე-
ბსა და სახელმწიფოს ფენომენს, შესაბამისად კი კოლექტიურობას,
რითიც წინააღმდეგობაში მოდის კლასიკური ინფრასტრუქტურის
კოლექტიურ დაპირებებთან.

ტრადიციული სამართალი არატრადიციული ინფრასტ- რუქტურის პირისპირ

ის, რომ ადგილობრივმა ელექტროგადამცემმა ინფრასტრუქტურამ
ვერ გაუძლო მოცემულ რეგიონში მიმდინარე კრიპტონარმოების
სიძლიავრეებსა და მასშტაბს, კიდევ ერთხელ აჩვენებს, თუ როგორ
არღვევს კრიპტონარმოების ლოგიკა კაპიტალის დაგროვებისთვის
იქამდე არსებულ, დროითა და სივრცით განპირობებულ ზრდისა და
მოქმედების ტემპებს - მისი განუსაზღვრელი მასშტაბის დაპირის-
პირებით განსაზღვრული მასშტაბის უკვე არსებულ ინფრასტრუქტუ-
რებთან, რაზეც ზემო სვანეთში გახშირებული, ელექტროენერგიის
დაზიანებისა და შეფერხებით მიწოდების შემთხვევები მეტყველებს.

თანამედროვე, უფრო ზუსტად კი მოდერნული ინფრასტრუქტურული
პროექტები თავის თავში ატარებს მომავლის, როგორც ცვლილე-
ბისა და გაუმჯობესების პოტენციალის აღქმას (Harvey 2018). როგორც
განვითარების ყველა პროექტის, ისე ინფრასტრუქტურული პრო-
ექტების წარმოდგენაც არა მხოლოდ მომავლისკენაა მიმართული,
არამედ, კონკრეტულად პოზიტიური მომავლისკენ. შესაბამისად,
ის მოიცავს ეგრეთოდებულ ინფრასტრუქტურის დაპირებებსა და
მისწრაფებებს. დაპირებები თუ მოლოდინები, რომლებიც ამ პრო-
ექტებისა თუ უკვე არსებული ინფრასტრუქტურის გარშემო არსებობს,
განსხვავდება ეპოქის, პოლიტიკური წყობის, ინსტიტუციური აქტო-
რებისა და სხვა მრავალი ფაქტორის მიხედვით, თუმცა მე-20 საუკუ-
ნის ინდუსტრიალიზაციის, საყოველთაო ელექტროიდიკისა თუ ზო-
გადი ტექნოლოგიური პროგრესის მულტი-იდეოლოგიური პროექტი
დღესაც გლობალურად, მთელი სიმძლავრით ოპერირებს „განვი-
თარების“ იარლიყის საფარქვეშ (Boyer 2018). პიდროელექტროსად-
გურებისა თუ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობას
თან ახლავს დაპირებების მთელი წყება, როგორიცაა - ეკონომიკური
ზრდა, ენერგოდამოუკიდებლობა, სამუშაო ადგილების შექმნა, რეგი-
ონული ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა.
ინფრასტრუქტურის დაპირება რიტორიკის დონეზე კვლავ ცო-
ცხალია, თუმცა მისი ფუნქცია და მიზნები ხშირად შეცვლილია, რაც
მოსახლეობებში ინფრასტრუქტურული პროექტებისადმი გლობა-
ლურ წინააღმდეგობას ბადებს. ინფრასტრუქტურები უფრო და უფრო
ხშირად აჩენს კითხვებს იმის შესახებ, თუ ვინ სარგებლობს მათით;
რა მიზეზებით იქმნება ან არ იქმნება ისინი და/ან ზიანდება კონკრე-
ტული ინფრასტრუქტურა.

ზემო სვანეთის მაგალითი ცხადჰყოფს, რომ მასშტაბური ინფრასტ-
რუქტურული პროექტების თანამედროვე, ლოკალურმა გამოწვევებმა
წყალი შეუყენა კლასიკური ინფრასტრუქტურის დაპირების სიძლი-
ერეს და განვითარების შესახებ ახალი ხედვების, მოქალაქეობის
ალტერნატიული ფორმების გააზრების ჩანასახოვანი ფორმებიც გა-
მოკვეთა - ისინი „თავად იღებენ ინიციატივას საერთო ინტერესზე,
რომლის თანაგანსაზღვრის უფლებაც მათ სახელმწიფო ე.ნ. ერო-
ვნული ინტერესის სახელით ჩამოართვა“ (წახუცრიშვილი 2019). ამა-
ვდროულად, ამავე რეგიონში, კრიპტოვალუტის ფორმითა თუ შინაა-
რსით სპონტანური ინფრასტრუქტურის გავრცელება ერთი შეხედვით
იმაზე მეტყველებს, რომ როგორც შორეული, ისე ახლო მომავალი
ერთი და იმავე წესით არის განდევნილი კოლექტიური წარმოსახ-
ვებიდან, რადგან ეს პროცესი მხოლოდ იმწამიერ, ინდივიდუალურ
მოგებაზეა გათვლილი და არ ვერ ითვალისწინებს მის შორეულ
ან სოციალურ/საყოველთაო ეფექტებს. მას შემდეგ კი, რაც ის საფრ-

თხეს უქმნის კლასიკური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებას და არღვევს ლოკალურ სოციალურ ინფრასტრუქტურას, მოსახლეობაში მის მიმართ ნდობა ირღვევა და ჩნდება კლასიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და აღდგენის აფექტები, რომლებიც ინფრასტრუქტურისა თუ საზოგადოებრივი ერთობის შენარჩუნების მომავალზეა ორიენტირებული.

კრიპტომოპოვების ინფრასტრუქტურა, რომელიც კლასიკური ინფრასტრუქტურის კოლექტიური სარებლის დაპირებისან განსხვავებით ინდივიდუალურ სიკეთებები მორიგეობული, ადგილობრივ სოციალურ ველში, ამ პრაქტიკის ფუნქციურობის გაურკვევლობასთან ერთად, მორალური ბუნდოვანებითაც იქრება, რაც, გარკვეულნილად, თავად კრიპტომოპოვების მორალური ბუნდოვანებიდან გამორჩეული აფექტია. სწორედ ეს ინვესტიცია იმას, რომ ადგილობრივები უფრო და უფრო ნაკლებად ამჟღავნებენ კრიპტონარმობაში საქმიანობაში ჩართულობას. კრიპტომოპოვების შრომას ადგილობრივების ნარმოსახვაში აზარტული თამაშების მსგავსი, ერთგვარი „ამორალური დაგროვების“ (Comaroff and Comaroff 2001, 4) ელფერიც ენიჭება - „მოუნდება ფული? ჩართავს. რატომ დაუწყებს საქონელს დევნას, რატომ გაჭუჭყიანდება?!“ - აცხადებს ზემო სვანეთის ერთ-ერთი მაცხოვრებელი

მაშასადამე, კრიპტოვალუტის წარმოებით ზემო სვანეთში ერთმანეთს უპირისპირდება ინდივიდუალური და კოლექტიური ინტერესები, ეს ყველაფერი კი განსაკუთრებით მოწყვლად სიტუაციას ქმნის იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოსა და ცენტრალური ეკლესიის წარმომადგენლები თუ სხვა აქტორები ტრადიციული სამართლის ფორმებს - ამ შემთხვევაში, სათემო ფიცს - „ჩამორჩენილობის“ ნიშნად, გადაუღახავ გადმონაშთად შერაცხავს (ნახუცრიშვილი 2019).

ფიცის დადების გადაწყვეტილება იმთავითვე შეიცავდა რისკს, რომ სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, აღნიშნულ თემაზე დაფიცების ტრადიცია ვერ ყოფილიყო ქმედითი. გარდა რისკისა, რომ ფიცს, შესაძლოა, რეალურად არ ემუშავა, მისი დადებით ადგილობრივები იმ რისკზეც წავიდნენ, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გამოქვეყნებული ელექტროენერგიის მოხმარების სტატისტიკას, შესაძლოა, კვლავ დაედასტურებინა ელექტროენერგიის მაღალი მოხმარება, რის გამოც მათ ფიცის გამტეხებად შერაცხავდნენ. ეს უარყოფითად აისახებოდა, ერთი მხრივ, ადგილობრივების ერთმანეთისადმი ნდობაზე, ხოლო მეორე მხრივ, თავად ტრადიციის სიცოცხლისუნარიინობაზე, რომელიც სწორედ ერთმანეთის ნდობის გავლით ხდება ქმედითი (Sztompka 1999, 45).

ზოგადად, ამ საკითხებების შესრულების მიზანშეწონილობაშია და იმაზე, თუ რამდენად შეასრულა რიტუალმა თავისი ფუნქცია, თემში ორაზროვნებაა. თუმცა, ადგილობრივები ადასტურებენ, რომ ფიცის შემდეგ დამდგარი მძიმე ეკონომიკური შედეგის მიუხედავად, არაერთმა ადგილობრივმა გამორთო „მაინერი“ და ელექტროენერგიის მიწოდებაც გაუმჯობესდა. ადგილობრივებს შორის აზრთა სხვადასხვაობა და შფოთი იმის შესახებ, იმოქმედა თუ არა ფიცმა, დღეს ამ ტრადიციის დისკურსის სიცოცხლესა და აქტუალურობაზეც მეტყველებს.

კრიპტომოპოვების ინფრასტრუქტურით ადგილობრივი სოციალური ქსოვილის რღვევის პროცესს; ამ პროცესის შედეგად გაჩენილ დაპირისპირებებისა და უნდობლობას ტრადიციული სამართალი მიტევების ფენომენს უპირისპირებს („დღემდე ყველას ეპატიოს...“). ფიცით ხდება აქამდე ჩადენილი დანაშაულის მიტევება და თემის სხვა წევრების გამოწვევა ხატზე დასაფიცებლად, შესაბამისად, პრობლემის გარშემო გასაერთიანებლად. თუმცა, ე.ნ. „ხატზე გადაცემით“ ფიცის დადგენილება მთელ თემზე ვრცელდება, რაც თავის არიდების შესაძლებლობას ზღუდავს და ამავდროულად, ტოვებს სივრცეს ინდივიდებისთვის, იმოქმედონ ისე, რომ არ მოხდეს მათი საკარო მხილება - რაც, თავის მხრივ, ამ შემთხვევაში ნიშნავს - შეაჩერონ კრიპტონარმოება.

2013 წელს, „ხუდონპესის“ აშენების წინააღმდეგ დადებული ფიცი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობისადმი ადგილობრივი წინააღმდეგობის განმტკიცებას ემსახურებოდა, რომელმაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები გამოიღო - პროექტი დღეს გაჩერებულია. ფორმით თუ შინაარსით, წინააღმდეგობა ისტორიული, თავისუფალი სვანეთის სულისკვეთებით იკვებებოდა - ადგილობრივები ხალდეს აჯანყებასთანაც⁸ აბამდნენ სიმბოლურ კავშირს (ნახუცრიშვილი 2019). ეს აქტი სიმბოლური საზღვრის ხაზის გავლებაა არსებულ სახელმწიფოსთან და, ამავდროულად, უფრო ამაღლებული სახელმწიფო ინტერესის შესრულების ინტერესიცაა, რომელსაც თანამედროვე სახელმწიფო, თავისი მორალური სიმყიფით თავად არღვევს (ibid.). კრიპტონარმოების ინფრასტრუქტურის ფიზიკური და სოციალური შედეგების მოგვარების მცდელობისას ამოქმედებული ტრადიციული სამართალი კი ცდილობს შეინარჩუ-

⁸ „თავისუფალი სვანეთის“ უკანასკნელ ერთობის ფიცად 1875-76 წლების ხალდეს აჯანყება მიიჩნევა, როდესაც სვანები დაუპირისპირდნენ რუსეთის იმპერიის გადაწყვეტილებას, აეზომა შინები და დაემორჩილებინა სვანეთი. ეს წინააღმდეგობა მათ ფიცით განამტკიცეს (Voell 2013; ნახუცრიშვილი 2019).

ნოს არსებული ინფრასტრუქტურების გამართულობა, ადგილობრივი საერთო რესურსი (ელექტროენერგიის სახით) და საზოგადოების ფუნქციონირება. ამის გამო, ფიცი, ფაქტობრივად, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამნაცვლებელ მექანიზმად უფრო გვევლინება.

მაშასადამე, ტრადიციული ნორმები, თავისი ისტორიული განგრძობითობით, ახლებურად გარდაიქმნება ახალი სოციალური, ეკონომიკური თუ ინსტიტუციური გამოწვევების ფონზე. ისტორიულად, სახელმწიფოს არარსებობის პირობებში გამოყენებადი სათემო ტრადიციები და რიტუალები დღეს მოსახლეობებისთვის სულ უფრო ხშირად იქცევა ლოკალურ თუ გლობალურ გამოწვევებთან გასამკლავებელ უკიდურეს მექანიზმებად, რაც ერთ-სახელმწიფოების ტრანსნაციონალური დესტაბილიზაციის ფონზე, ადგილობრიობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

გამოყენებული ლიტერატურა Bibliography

Antadze, N., & Gujaraidze, K. (2021). *The role of traditional rituals in resisting energy injustice: The case of hydropower developments in Svaneti, Georgia*. *Energy Research & Social Science*, 1-13.

Boyer, D. (2015). *Anthropology Electric. Cultural Anthropology* 30, no. 4, 531-539.

Boyer, D. (2018). *Infrastructure, Potential Energy, Revolution*. In A. G. Nikhil Anand, *THE PROMISE OF INFRASTRUCTURE* (pp. 223-245). durham and london: duke university press.

Cadena, M. d., & Starn, O. (2007). *Introduction*. In M. d. Cadena, & O. Starn, *Indigenous Experience Today* (pp. 1-33). Berg.

Clark, C. E., & Greenley, H. L. (2019). *Bitcoin, blockchain, and the energy sector*. Congressional Research Service.

Comaroff, J., & Comaroff, J. L. (2001). *Millennial Capitalism and the Culture of Neoliberalism*. Duke University Press.

Dodd, N. (2017). *The social life of Bitcoin*. Theory, Culture & Society, 1-26.

Harvey, P. (2018). *Infrastructures in and out of Time: The Promise of Roads in Contemporary Peru*. In N. Anand, A. Gupta, & H. Appel, *THE PROMISE OF INFRASTRUCTURE* (pp. 80-102). durham and london: duke university press.

Maurer, B., Nelms, T. C., & Swartz, L. (2013). "When perhaps the real problem is money itself": the practical materiality of Bitcoin. *Social Semiotics*, 261-277.

Mezzadra, S., & Neilson, B. (2017). *On the multiple frontiers of extraction: excavating contemporary capitalism*. *Cultural Studies*, 1-20.

Swartz, L. (2018). *What was Bitcoin, what will it be? The techno-economic imaginaries of a new money technology*. *Cultural Studies*, 1-27.

Sztompka, P. (1999). *Trust: A Sociological Theory*. CAMBRIDGE : CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS .

Voell, S. (2013). *Oath of Memory: The Taking of Oaths on Icons in Svan Villages of Southern Georgia*. *Iran & the Caucasus*, 153-169.

Voell, S., Jalabadze, N., Janiashvili, L., & Kamm, E. (2014). *IDENTITY AND TRADITIONAL LAW: Local Legal Conceptions in Svan Villages, Georgia*. *Anthropological Journal of European Cultures*, 1-22.

World, B. (2018). *Cryptocurrencies and Blockchain*. *Europe and Central Asia Economic Update (May)*. Washington, D.C: World Bank Group.

გეხიგიშვილი, გ, გეხიგიშვილი, თ., & ქიოსთავი, კ. (2019). პეტების მშენებლობა სვანეთში და მისი ზეგავდენა აღამიანის უფლებებზე. თბილისი: EMC.

ნაციურიშვილი, გ. (2019 წლის 12 ივნისი). ფიცის სიმტკიცე და მოხეციადე კონსტიტუცია-ხაიშეგების სახელმწიფოს პირის მიზანების მოღიბია/თვალსაზრისი.

საქართველოს გამჭვივალობა საქართველო. (2023 წლის 5 აპრილი). საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორი 2010-2022 წლებში. <https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-elektroenergetikis-sektori-2010-2022-clebshi>

გორგა, ე-პ. (2020 წლის 30 იანვარი). <https://www.energo-pro.ge/> . მომვებულ 2022 წლის 10 ივნისი, <https://www.energo-pro.ge/ka/article/mestiis-raionis-elektroenergiis-momxamrebam-kritikul-zgvarts-gadaacharba-/134> -გან



Authors

“

ავტორები

”

Nikoloz Tsikaridze is a Paleoanthropologist/Archaeologist - Assistant Professor of Ilia State University, Chairman of Scientific Council of Caucasus Scientific Research Institute. Head of the research group of Tsutsukhati, Sakajia and Tsofi caves. Bachelor of Archeology from Javakhishvili Tbilisi State University; Graduate of the Erasmus Mundus Quaternary and Master's Program in Prehistory; PhD in Earth Sciences from the University of Florence. His researches focus on Stone Age archaeology, paleoanthropology, paleoecology and theoretical archaeology.

Giorgi Tsintsadze is an Alumnus of Cornell University, Department of Natural Resources. Giorgi also holds an MS degree in Environmental Science and Policy from The University of Chicago. From 2020 to 2023, Giorgi worked at the Social Justice Center (previously EMC), focusing on natural resource management, environmental protection and green policy issues. His research efforts aim to shed light on environmental inequities in resource-dependent communities (such as Chiatura and Tkibuli) and also in urban ecology through combining political ecology and policy analysis.

Lela Rekhvashvili is a researcher focusing on political-economy and regional geography at Leibniz Institute of Regional Geography. She has published widely on marketization and development policy, on urban and regional infrastructure transformation, on resistance politics and on social movements. Lela is an invited lecturer at Universities of Jena and Leipzig. She also serves as one of the coordinators of research area 'Self-Positioning of Eastern Europe in a New World Order' at Leibniz Science Campus »Eastern Europe – Global Area« (EEGA).

Irakli Matcharashvili has been involved in environmental activities since 1995. He worked in several environmental NGOs such as GCCW (1995-2000), NACRES (2000-2004) and Green Alternative (since 2005); He was Deputy Minister of Environmental Protection (2004-2005) and professor at Ilia State University (2008-2020). In 2002 he defended his thesis focusing on zoology. His interests include biodiversity conservation, nature resource management, environmental governance, environmental education and economic assessment of biodiversity and ecosystems.

Mamuka Gvilava, native of Tbilisi, Georgia, is specialized in a wide range of environmental subjects, with over 25 years of experience with cooperative projects in Georgia, Caucasus, Black Sea region and Europe. His expertise includes earth observations, climate change assessments, green design and construction, nature based solutions, as well as strategic (SEA) and environmental impact assessments (EIA), with portfolio of assessments and

reviews of numerous plans and projects, including spatial planning and energy sectors. He directed the World Bank and Global Environment Facility supported project establishing Kolkheti wetlands and marine protected areas along the Black Sea coast of Georgia. Currently coordinates inputs of Georgian partners into several European research and innovation blue economy projects. Mamuka Gvilava serves the Black Sea Commission as the Integrated Coastal Zone Management (ICZM) National Focal for Georgia and for accomplishments in the field the Black Sea Medal was awarded in 2011 by this intergovernmental body.

Aleksandra Aroshvili is an independent researcher focusing on the intersection of social policy and political economy. Her work analyzes post-Soviet transformations, informal and atypical labor, women's emancipation, migrations, extractivism and ecology issues in Georgia.

Teona Rekhvashvili holds a Masters Degree in Sociology from Ilia State University. Over the years, she has been part, as well as a member of various informal activist groups that focus on improvement of work conditions, education, ecology and infrastructure. Her interests are post-Socialist transformations, infrastructure anthropology and social movements.

ნიკოლოზ წიქარიძე პალეოანთროპოლოგი/არქეოლოგი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი, კავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ცუცხვათის, საკაუიას და წოფის მღვიმების კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი. ივანე ჟავახიშვილის სახელმისამართის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ბაკალავრი; ერათმებულნის მეოთხეულისა და პრეისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული; ფლორენციის უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი. იკვლევს ქვის ხანის არქეოლოგიის, პალეოანთროპოლოგიის, პალეოკოლოგიისა და თეორიული არქეოლოგიის საკითხებს.

გიორგი ცინცაძე 2013 დაამთავრა კორნელის უნივერსიტეტის გარემოს მეცნიერებებისა და ბუნებრივი რესურსების ფაკულტეტი. 2017 წელს სწავლა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, გარემოს მეცნიერებებისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაზე გააგრძელა. 2020 წლიდან 2023 წლამდე გიორგი მუშაობდა სოციალური სამართლიანობის ცენტრში (ყოფილი EMC), სადაც, სხვა თემებთან ერთად ბუნებრივი რესურსების მართვას, გარემოსდაცვით და მწვანე პოლიტიკის საკითხებს იკვლევდა. მისი კვლევითი საქმიანობა ცდილობს ეკოლოგიური ნუსილები ძალაუფლებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებს

დაუკავშიროს და რომლებიც ეხება როგორც ინდუსტრიულ და ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე დამოკიდებულ რეგიონებს, როგორიცაა ქიათურა და ტყიბული, ისე ურბანულ ეკოლოგიურ წესილებს.

ლელა რეხვიაშვილი არის პოლიტ ეკონომისის და რეგიონალური გეოგრაფიის მკვლევარი ლაიბნიცის რეგიონალური გეოგრაფიის ინსტიტუტში. ის იკვლევს მარკეტიზაციას და განვითარების პოლიტიკას, ურბანული და რეგიონალური ინფრასტრუქტურების გარდაქმნას, წინააღმდეგობის პოლიტიკას და სოციალურ მოძრაობებს. ლელა არის ლაიფციგის და იერა უნივერსიტეტებში მოწევეული ლექტორი, და ლაიბნიცის სამეცნიერო კამპუსის „აღმოსავლეთ-ევროპა-გლობალური არეა“-ს ერთ-ერთი კვლევითი მიმართულების კოორდინატორი.


ირაკლი მაჭარაშვილი 1995 წლიდან ჩართულია გარემოსდაცვით საქმიანობაში. ის მუშაობდა ისეთ გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებში როგორებიცაა: GCCW (1995-2000), NACRES (2000-2004) და მწვანე ალტერნატივა (2005 წლიდან). იგი იყო გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე (2004-2005) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (2008-2020). 2002 წელს დაიცვა დისერტაცია ზოოლოგიაში. მისი ინტერესები მოიცავს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციას, ბუნებრივი რესურსების მართვას, გარემოსდაცვით მმართველობას, გარემოსდაცვით განათლებას და ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების ეკონომიკურ შეფასებას (TEEB).

მამუკა გვილავა (თბილისი, საქართველო) სპეციალიზებულია გარემოსდაცვითი საკითხების ფართო სპექტრში, 25 წლის თანამშრომლობის გამოცდილებით საქართველოში, კავკასიაში, შავი ზღვის რეგიონებისა და ევროპაში. მისი ექსპერტიზა მოიცავს დედამიწაზე დაკვირვებებს, კლიმატის ცვლილების შეფასებებს, მწვანე პროექტირებასა და მშენებლობას, ბუნებაზე დაფუძნებულ მეთოდებს, ასევე სტრატეგიულ (სგშ) და გარემოზე ზემოქმედების შეფასებებს (გზშ), რა მიმართულებითაც შესრულებული და განხილული აქვს მრავალი გეგმისა და პროექტის სგშ/გზშ, მათ შორის სივრცითი დაგეგმარების მიმართულებით და ენერგეტიკის დარგებში. იგი ხელმძღვანელობდა მსოფლიო ბანკისა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერილ პროექტს კოლხეთის ჭარბტენიანი და საზღვაო დაცული ტერიტორიების ჩამოსაყალიბებლად საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. ამჟამად კოორდინაციას უწევს საქართველო-დან რამდენიმე პარტნიორის მონაწილეობას ევროპულ კვლევით და ინოვაციურ პროექტებში ლურჯი ეკონომიკის მიმართულებით. მამუკა გვილავა შავი ზღვის კომისიას ეგიდით სანაპირო ზონის ინტეგრი-

რებული მართვის (სზიმ) ეროვნული პასუხისმგებელი პირს წარმოადგენს საქართველოდან და მიღწევებისთვის აღნიშნულ სფეროში ამ მთავრობათაშორისი თრგანიზაციის მიერ 2011 წელს შავი ზღვის მედლით იქნა დაკილდოებული.

ალექსანდრა აროშვილი დამოუკიდებელი მკვლევარია და ფოკუსირდება სოციალური პოლიტიკისა და პოლიტეკონომის თანაკვეთების შესწავლაზე. მისი ნაშრომები აანალიზებს პოსტ-საბჭოთა ცვლილებებს, არაფორმალური და არატიპური შრომის, ქალთა ემანსიპაციის, მიგრაციის, ექსტრაქტივიზმისა და ეკოლოგიის საკითხებს როგორც გლობალურად ისე საქართველოში.

თეონა რეხვიაშვილი ფლობს სოციოლოგიის მაგისტრის წოდებას იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. წლების განმავლობაში ის არა-ერთი არაფორმალური აქტივისტური ჯგუფის წევრი და მონაწილე ყოფილა როგორებიც როგორც სამუშაო პირობების და განათლების ისე ეკოლოგიურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებს ეხება. თეონას კვლევითი ინტერესები უკავშირდება პოსტსოციალისტურ ცვლილებებს, ინფრასტრუქტურის ანთროპოლოგიასა და სოციალურ მოძრაობებს.





“

Colophon

”

Note: Each of the texts in this publication expresses the authors' ideas and does not necessarily represent the point of view of the Tbilisi Architecture Biennial.

Curators

Gigi Shukakidze
Tinatin Gurgenidze
Otar Nemsadze

Editor

Elene Pasuri

Graphic Design

Tikuna Adeishvili

Consulting

Lela Rekhiashvili
Aleksandra Aroshvili

Authors

Aleksandra Aroshvili
Lela Rekhiashvili
Nikoloz Tsikaridze
Teona Rekhiashvili
Giorgi Tsintsadze
Irakli Macharashvili
Mamuka Gvilava
Stefano Tornieri

Translation and Proofreading

Nato Zedelashvili
Nata Kirvalidze
Giorgi Kartvelishvili
Aleksandra Aroshvili
Tornike Tchumburidze
Elene Pasuri

Commissioner

Magda Guruli

Supporters

The Ministry of Culture, Sport and Youth of Georgia
TBC Concept
Tbilisi City Hall
Creative Europe
Institut für Auslandsbeziehungen e.V.
(ifa)
Adjara Group
ALL-P Group
ALL-P Metal
PolyForm.Lab

შენიშვნა: ყველა სტატია გამოხატავს მისი ავგორიტის აზრს, ხომერიც ას აზრს აუცილებელი, მასში განხილულ საკითხებზე თბილისის ახტიტებულის ბიენალეს გუნდის აზრს ემთხვეოდეს.

კურატორები

გიგი შუკაკიძე
თინათინ გურგენიძე
ოთარ ნემსაძე

რედაქტორი

ელენე ფასური

გრაფიკული დიზაინი
თიკუნა ადეიშვილი

კონსულტანტები
ალექსანდრა აროშვილი
ლელა რეხვიაშვილი

ავტორები
ნიკოლოზ წიქარიძე
გიორგი ცინცაძე
ლელა რეხვიაშვილი
ირაკლი მაჭარაშვილი
მამუკა გვილავა
ალექსანდრა აროშვილი
თეონა რეხვიაშვილი
სტეფანო ტორნიერი

თარგმანი და კორექტურა

ნატო ზედელაშვილი
ნატა კირგალიძე
გიორგი ქართველიშვილი
ალექსანდრა აროშვილი
თორნიკე ჭუმბურიძე
ელენე ფასური

კომისარი
მაგდა გურული

მხარდამჭერები
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტრო
თიბისი კონცეპტი
თბილისის მერია
შემოქმედებითი ევროპა
აქარა ჟუფი
Institut für Auslandsbeziehungen e.V.
(ifa)
ALL-P Group
ALL-P Metal
PolyForm.Lab

* January february march

Project Authors: Gigi Shukakidze, Otar Nemsadze, Tinatin Gurgenidze.

Project Team: Giorgi Vardiashvili (artist), Aleksi Soselia, Stefano Tornieri, Lado Kandashvili, Giorgi Kartvelishvili,

* იანვარი თებერვალი მარტი

ინსტალაციის ავტორი: გიგი შუკაკიძე, თინათინ გურგენიძე, ოთარ ნემსაძე
პროექტის გუნდი: გიორგი ვარდიაშვილი (მხარდამჭერი), ალექსი სოსელია,
ლადო ყანდაშვილი, გიორგი ქართველიშვილი

Printed by

printon a.s., Tallinn, Estonia, 2023

Published By

© Tbilisi Architecture Biennial, 2023

დაიბეჭდა:

print on a.s., ტალინი, ესტონეთი 2023

გამომცემელი

© თბილისის არქიტექტურის ბიენალე, 2023

ISBN 978-9941-8-4450-8

